გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელება საქართველოში

„საქართველოში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის

განხორციელების ღონისძიებათა 2014–2016 წლების

სამოქმედო გეგმის”

შესრულების 2016 წლის ანგარიში

2017

თბილისი

სარჩევი

I. შესავალი 3

II. კვლევის მიზანი და მეთოდები 6

კვლევის მიზანი 6

კვლევის მეთოდები 6

III. შედეგები: განხორციელებული აქტივობები 7

1. საკანონმდებლო ინიციატივები, ცვლილებები, მნიშვნელოვანი დოკუმენტები 7
2. ეროვნული მექანიზმები 19
3. ქალთა მხადამჭერი პროგრამები 21
4. საგანმანათლებლო ინიციატივები 30
5. ჩატარებული კვლევები 38
6. ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები 38
7. გენდერული სტატისტიკა 40

IV. იდენტიფიცირებული პრობლემები და ზოგადი რეკომენდაციები 42

1. პრობლემები 39
2. რეკომენდაციები 45

დანართი 48

I. შესავალი

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია „საქართველოში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2014–2016 წლების სამოქმედო გეგმის“[1] ანგარიში, 2016 წლის შედეგების შეფასება, რომელიც მომზადდა საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოსა და გაეროს ერთობლივი პროგრამის გენდერული თანასწორობისთვის მხარდაჭერით.

საქართველოს პარლამენტთან არსებული გენდერული თანასწორობის საბჭომ[2], აღმასრულებელი ხელისუფლებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად შეიმუშავა სამოქმედო გეგმა[3], რომელიც საქართველოს პარლამენტის მიერ 2014 წლის 24 იანვარს დამტკიცდა. აღნიშნული სამოქმედო გეგმა 8 პრიორიტეტს მოიცავს. ესენია:

1. გენდერული თანასწორობის სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მისი განხორციელების ხელშეწყობა;
2. განათლება და ცნობიერების დონის ამაღლება;
3. გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა ეკონომიკის სფეროში;
4. გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში;
5. გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე;
6. ქალი და პოლიტიკა;
7. გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა გარემოს დაცვის სფეროში;

[1] იხ. გეგმის დოკუმენტი პარლამენტის ვებგვერდზე: www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/27264

[2] იხ.ინფორმაცია საბჭოს შესახებ პარლამენტის ვებგვერდზე: http://www.parliament.ge/ge/saparlamento-saqmianoba/komisiebi-da-sabchoebi-8/genderuli-tanasworobis-sabcho

8. გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა სამართალდაცვისა და სასჯელაღსრულების სფეროში.

საქართველოში გენდერული თანასწორობის საკითხებზე მუშაობა აქტიურად დაიწყო მას მერე, როდესაც ქვეყნის მთავრობამ 1994 წელს ხელი მოაწერა მნიშვნელოვან დოკუმენტს - „კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ (CEDAW). კონვენცია მიზნად ისახავს გენდერული თანასწორობის მიღწევას და ითვალისწინებს ქალთა თანაბარი უფლებების უზრუნველყოფას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. კონვენციაში ჩამოყალიბებულია ქალთ მიმართ დისკრიმინაციის განმარტება და მისი აღმოფხვრის მექანიზმები

1998 წელს პრეზიდენტის ბრძანებულებით დამტკიცდა პირველი დოკუმენტი - „ეროვნული სამოქმედო გეგმა ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ 1998-2000 წ.წ.“, რომელიც პეკინის სამოქმედო გეგმაში გაწერილი 12 პრიორიტეტიდან 7-ს მოიცავდა. ეს იყო საკითხები, რომელიც იმ დროს აქტუალურად მიიჩნიეს საქართველოში ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. მას შემდეგ გარკვეული პერიოდულობით იქმნება და მტკიცდება სამოქმედო გეგმები: 1998-2000 წ.წ., 2001-2004 წ.წ., 2007-2009 წ.წ., 2010-2013 წ.წ., 2014-2016 წ.წ..

ადამიანის უფლებების დაცვასა და მათ მიმართ დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმის აღმოფხვრას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კაცობრიობის განვითარებაში ამისთვის მთელი მსოფლიოს მასშტაბით უამრავი დოკუმენტი, საკანონმდებლო აქტი თუ მექანიზმი შეიქმნა; დაიდო შეთანხმებები და ხელშეკრულებები, თუმცა, დღემდე ირღვევა ადამიანის უფლებები, ხორციელდება მათი სხვადასხვა ფორმით ჩაგვრა, ხშირად ადამიანებს სხვადასხვა მიზეზის გამო არა აქვთ თანაბარი უფლებები, ან უფლებებით სარგებლობის ერთნაირი შესაძლებლობები. ყოველივე ეს კი ეწინააღმდეგება დემოკრატიის პრინციპებს, რომლის უზრუნველყოფისაკენაც მიისწრაფის დღევანდელი მსოფლიო და მათ შორის საქართველო.

გენდერული თანასწორობა, რომელიც გულისხმობს „ქალისა და მამაკაცის თანასწორ უფლება–მოვალეობებს, პასუხისმგებლობას და თანასწოუფლებიან მონაწილეობას პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში“ [4] ხელს უწყობს ქვეყნისა და საზოგადოების განვითარებას – ადამიანთა უფლებების დაცვას, ქმნის ეკონომიკის გაძლიერების საფუძველს, აღმოფხვრის დისკრიმინაციას, უზრუნველყოფს გენდერულ ბალანსს ნებისმიერ სფეროში.

[4] საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ (მუხლი.3)

II. კვლევის მიზანი და მეთოდები

კვლევის მიზანი

2017 წლის თებერვალში ჩატარდა „საქართველოში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2014–2016 წლების სამოქმედო გეგმის“ შესრულების შეფასება. კვლევის მიზანი იყო 2016 წლისათვის დაგეგმილი ღონისძიებების (1) შესრულების შეფასება - განხორციელებული და მიმდინარე ღონისძიებების ანალიზი; და (2) გეგმის შესრულებასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირება.

კვლევის მეთოდები

კვლევაში გამოყენებული იყო რამდენიმე მეთოდი:

- სამაგიდე კვლევა - გეგმის განხორციელების პროცესში ჩართული სხვადასხვა უწყების მიერ გენდერული თანასწორობის პოლიტიკასთან დაკავშირებით მომზადებული ანგარიშების შესწავლა/ანალიზი.
- თვისებრივი კვლევა - სიღრმისეული ინტერვიუ სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში ჩართული სხვადასხვა უწყების წარმომადგენელთან. ინტერვიუსათვის შემუშავდა გზამკვლევი-კითხვარი.

III. შედეგები: განხორციელებული აქტივობები

1. საკანონმდებლო ინიციატივები, ცვლილებები, მნიშვნელოვანი დოკუმენტები

„საქართველოში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2014–2016 წლების სამოქმედო გეგმაში“ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საკანონმდებლო აქტივობებს. გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისათვის გეგმაში გათვალისწინებულია კანონმდებლობის გენდერული ანალიზის ჩატარება, მის საფუძველზე გარკვეული საკანონმდებლო ცვლილებების მომზადება და მისი გათვალისწინება საკანონმდებლო ბაზაში. გასული, 2016 წლის განმავლობაში სხვადასხვა სახელმწიფო უწყების მიერ არაერთი საკანონმდებლო ინიციატივა მომზადდა.

ქალთა მიმართ ძალადობა ერთ-ერთი მტკივნეული საკითხია საქართველოში. ქალები ხშირად სხვადასხვა სოციალური, ეკონომიკური თუ ფსიქოლოგიური ფაქტორების გამო ძალადობის მსხვერპლნი არიან. ქვეყანაში, სადაც დემოკრატიული პროცესები მიმდინარეობს, უნდა არსებობდეს ძალადობისაგან დამცავი ძლიერი მექანიზმები. პირველ რიგში, ერთ-ერთი ასეთი მექანიზმია ეფექტური საკანონმდებლო ბაზა.

2014 წელს საქართველოში დაიწყო „ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროსაბჭოს კონვენციის (სტამბოლის კონვენცია) რატიფიკაციისა და ადგილობრივი კანონების ჰარმონიზაციის პროცესი . კონვენციის ძირითადი მიზანია ადამიანის უფლებების დარღვევასთან ბრძოლა - ძალადობის პრევენცია, მსხვერპლთა დაცვა და მოძალადეებზე სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება. კონვენციასთან ჰარმონიზაციის ფარგლებში ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში შემუშავდა მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები, რომელთა გათვალისწინებაც მოხდა 2015 წელს 17 საკანონმდებლო აქტში.

2015 წელს საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ „ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და პრევენციის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციასთან (შემდგომში - „სტამბოლის კონვენცია“) ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით შეიმუშავა შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი (გეგმა:1.3.5; 1.4.1), რომლის მიხედვით მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებებია გათვალისწინებული 17 საკანონმდებლო აქტში. ეს საკანონმდებლო აქტებია: 1. სისხლის სამართლის კოდექსი, 2. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 3. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, 4. საქართველოს კანონი ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ, 5. შრომის კოდექსი, 6. საქართველოს კანონი იურიდიული დახმარების შესახებ, 7. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, 8. პაციენტის უფლებების შესახებ კანონი, 9. პატიმრობის კოდექსი, 10. საქართველოს კანონი საექიმო საქმიანობის შესახებ, 11. საქართველოს კანონი საჯარო სამსახურის შესახებ, 12. საქართველოს კანონი უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ, 13. საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, 14. საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, 15. ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, 16. პოლიციის შესახებ საქართველო კანონი და 17. იარაღის შესახებ საქართველოს კანონი. (გეგმა:1.3.5; 1.4.1).

2016 წელს საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ თანამედროვე გამოწვევების შესაბამისად, კიდევ ერთხელ გადახედა „სტამბოლის კონვენციის“ სარატიფიკაციო საკანონმდებლო ცვლილების პაკეტს და ცვლილებები შეიმუშავა 25-მდე საკანონმდებლო აქტში. საკანონმდებლო ცვლილებები განხილულ იქნა სამთავრობო უწყებებთან, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

ცვლილებები შედის საქართველოს კანონში „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ[5]“. დღეს, მოქმედი

[5] იხ. კანონის კონსოლიდირებული ვერსია მისამართზე: https://matsne.gov.ge/ka/document/view/26422

რედაქცია არეგულირებს მხოლოდ ოჯახში ძალადობას. ახალი ცვლილებების საფუძველზე ფართოვდება აღნიშნული კანონის მოქმედების სფერო და იგი შეეხება არა მარტო ოჯახის ფარგლებს, არამედ, ზოგადად, ქალის მიმართ გამოვლენილ ძალადობასაც. კანონის სათაური ჩამოყალიბდება შემდეგი რედაქციით –„ქალთა მიმართ ძალადობისა ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“. შესაბამისად, ცვლილებები შედის მე–2 მუხლშიც. კანონის მე–3 მუხლს ემატება ქალთა მიმართ ძალადობის განმარტება რომლის მიხედვითაც – „ქალთა მიმართ ძალადობა ნიშნავს გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობის ყველა იმ ქმედებას, რომელთაც შედეგად მოჰყვება ან შეიძლება მოჰყვეს ქალებისთვის ფიზიკური, სექსუალური, ფსიქოლოგიური ან ეკონომიკური ზიანის ან ტანჯვის მიყენება, მათ შორის, ასეთი ქმედების ჩადენის მუქარა, იძულება ან თავისუფლების თვითნებური აღკვეთა, იმის მიუხედავად თუ სად ხდება ეს – საზოგადოებრივ თუ პირად ცხოვრებაში“.

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს ის მნიშვნელოვანი ცვლილება, რომელიც ეხება შემაკავებელ და დამცავ ორდერებს. ახალი რედაქციით შემაკავებელი და დამცავი ორდერების გამოყენება შესაძლებელი იქნება ქალის მიმართ ძალადობის ფაქტის გამოვლენის ყველა შემთხვევაში და მე–10 მუხლის „ა“ პუნქტი შემდეგი სახით ჩაიწერება „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის ფაქტზე ოპერატიული რეაგირებისათვის უფლებამოსილი ორგანოს მიერ მსხვერპლის დაცვისა და მოძალადის გარკვეული მოქმედებების შეზღუდვის უზრუნველსაყოფად დროებითი ღონისძიების სახით, შესაძლებელია გამოცემულ იქნეს შემაკავებელი ან დამცავი ორდერი“. აქედან გამომდინარე ცვლილებები აისახება მე–10 მუხლის სხვა პუნქტებშიც. შემაკავებელი ორდერი ძალაში შევა პოლიციის მიერ გამოცემული ორდერის ძალაში შესვლისთანავე და აღარ იქნება საჭირო მისი სასამართლოში წარდგენის ვალდებულება. გარდა ამისა, იურიდიული კონსულტაციის მიღების უფლებით, 30 დღიანი შვებულებითა და თავშესაფრით ასევე ისარგებლებს არა მხოლოდ ოჯახის ძალადობის მსხვერპლი, არამედ ნებისმიერი ქალი, რომელიც

ძალადობის მსხვერპლია. შესაბამისად, მუხლის მე–17² „ა“ პუნქტი ჩამოყალიბდება შემდეგი ფორმულირებით –„საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში არსებული ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარი უნდა აკმაყოფილებდეს მსხვერპლის საყოფაცხოვრებო პირობებს და უნდა უზრუნველყოფდეს მის მიერ პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო და ფსიქოლოგიური დახმარებით სარგებლობის შესაძლებლობას“.

ასევე, ცვლილები შედის სისხლის სამართლის კოდექსში და აქ ხაზი გვინდა გავუსვათ ერთ–ერთ მნიშვნელოვან ცვლილებას, რომელიც ემატება ახალი 133²-ე მუხლის სახით და გულისხმობს ქალთა გენიტალიების დამახინჯების კრიმინალიზაციას – „რელიგიური, რიტუალური, ეროვნული, ეთნიკური ან სხვა ტრადიციების გავლენით ან ამგვარის გარეშე ქალის გენიტალიების მთლიანი ან ნაწილობრივ ამოკვეთა, ან ინფიბულაცია ან სხვა სახის დასახიჩრება, ან ქალის იძულება, დარწმუნება ან დაყოლიება, ჩაიტაროს ამგვარი ოპერაცია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს აუცილებელია ქალის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ოთხ წლამდე“. იმავე დანაშაულის ჩადენა ორსული, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ან არასრულწლოვნის მიმართ დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნევა, რომელიც ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან შვიდ წლამდე (მუხლი 133², 2). დანაშაულად გამოცხადდება, ასევე, ადევნება, რომლის ჩადენისთვისაც სასჯელის სახით ორ წლამდე თავისუფლების აღკვეთაა გათვალისწინებული.

ამ სახის ქმედებების სისხლის სამართლის წესით დასჯადად გამოცხადება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ფონზე, როდესაც უკანასკნელ პერიოდში საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლინდა არაერთი მსგავსი შემთხვევა. ქალთა გენიტალიების დამახინჯება ან ქალის იძულება-დაყოლიება ამ რიტუალის

ჩასატარებლად რელიგიური, რიტუალური, ეროვნული, ეთნიკური ან სხვა ტრადიციების გავლენით ან მის გარეშე სისხლის სამართლის წესით დაისჯება.

ამასთან, ფართოვდება იმ პირთა წრე, რომელთაც შეუძლიათ, სამართალდამცველებს მიაწოდონ ინფორმაცია ძალადობის ფაქტების შესახებ. იმ პირების მიმართ, რომლებსაც, ზოგადად, პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას კონფიდენციალობის ვალდებულება ეკისრებათ (ექიმები, მასწავლებლები, ადვოკატები), განისაზღვრება საგამონაკლისო შემთხვევა – აღნიშნულ პირებს ეს ვალდებულება არ შეზღუდავთ კომპეტენტურ ორგანოებს მიაწოდონ ინფორმაცია ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის შესაძლო შემთხვევის თაობაზე, თუკი არსებობს ძალადობის განმეორების საშიშროება. მასწავლებელი და მანდატური ვალდებულნი იქნებიან, სკოლის დირექტორის მიერ საამისოდ უფლებამოსილ პირსაც მიაწოდონ ინფორმაცია ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის შესაძლო შემთხვევებზე.

ცვლილებებით შესაძლებელი ხდება ძალადობის მსხვერპლი უცხოელი ქალის მიმართ გაიცეს დროებითი ბინადრობის ნებართვა. ასევე, ძალადობის მსხვერპლ უცხოელ ქალებზე სამართალწარმოების დასრულებამდე დაუშვებელი იქნება მათი გაძევება საქართველოდან, თუკი ისინი ძალადობის მსხვერპლნი არიან.

გარდა ამისა, ძალადობის მსხვერპლ ქალთა დაცვის მიზნით „პატიმრობის კოდექსში“ შესატანი ცვლილების თანახმად, საპატიმროს ადმინისტრაცია ვალდებული იქნება, მოძალადის გათავისუფლებამდე 3 თვით ადრე წერილობით შეატყობინოს საუბნო პოლიციას დანაშაულის ჩადენის ადგილის მიხედვით. თავის მხრივ კი, პოლიცია ვალდებული იქნება, ძალადობის მსხვერპლ ქალს აცნობოს ამ პირის გათავისუფლების თაობაზე.

ძალადობის ჩამდენ პირებს აეკრძალებათ პირად საკუთრებაში არსებული იარაღის ტარება, შეეზღუდებათ ან აეკრძალებათ სამსახურებრივ-საშტატო იარაღის

ტარება; ხოლო თუკი პირი უკვე ფლობს იარაღს, დამცავი და შემაკავებელი ორდერების მოქმედების პერიოდში ან დამცავი და შემაკავებელი ორდერებით განსაზღვრულ პერიოდში მას იარაღი ჩამოერთმევა.

საკანონმდებლო ცვლილებების ძალაში შესვლის შემდეგ ქალთა უფლებების დაცვას უზრუნველყოფს ევროპული სტანდარტების შესაბამის მექანიზმები, საქართველოს კანონმდებლობა კი შესაბამისობაში მოვა სტამბოლის კონვენციასთან. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ კონვენცია ხელმომწერ სახელმწიფოებს ავალდებულებს, ჩამოაყალიბონ ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობისაგან დაცვის ეფექტიანი სამართლებრივი მექანიზმები. კონვენცია ითვალისწინებს მონიტორინგის მექანიზმს როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე. ამ მიზნით იქმნება ქალთა წინააღმდეგ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ქმედებათა განხორციელებასთან დაკავშირებული ექსპერტთა ჯგუფი (GREVIO), რომელიც მონიტორინგს გაუწევს მხარეთა მიერ კონვენციის მოთხოვნების დაცვას.

საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი შემუშავდა 2016 წელს იუსტიციის სამინისტროს მიერ, რომელიც აქტიურად თანამშრომლობდა სხვა უწყებებთან და ქალთა მიმართ ძალადობის თემაზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან. საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი საქართველოს მთავრობამ 2017 წლის 24 იანვარს დაამტკიცა, ხოლო საქართველოს პარლამენტს წარედგინა 2017 წლის 8 თებერვალს.

ქალთა თანაბარი მონაწილეობის საკითხი პოლიტიკაში კვლავ რჩება ერთ–ერთ ძირითად გამოწვევად საქართველოში. 2015 წლის გლობალური გენდერული ანგარიშის მიხედვით [6], საქართველომ 145 ქვეყანაში გლობალური გენდერული ინდექსით 114-ე ადგილი დაიკავა ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის კუთხით და 117-ე - ქალთა პარლამენტში წარმომადგენლობის მიხედვით. საპარლამენტთაშორისო

[6] The Global Gender Gap Index 2015, გვ.9, http://www3.weforum.org/docs/GGGR2015/cover.pdf.

კავშირის მონაცემებით 2016 წლის მდგომარეობით, საქართველო 125-ე პოზიციაზეა იყო 193 ქვეყანას შორის[7]. შეიძლება ითქვას, რომ მას მერე დიდად არ შეცვლილა მდგომარეობა საქართველოში, რისთვისაც მნიშვნელოვანი დროებითი სპეციალური მექანიზმების ამუშავებაა საჭირო, რომელთაგან ერთ–ერთი გენდერული კვოტა 2015 წლის 10 ივნისს „ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის სამუშაო ჯგუფის“ წევრმა ადგილობრივმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა [8] პარლამენტს წარუდგინეს საკანონმდებლო წინადადების სახით. აღნიშნული წინადადება გულისხმობდა ცვლილების შეტანას საარჩევნო კოდექსში, რომლის მიხედვითაც პოლიტიკურმა პარტიებმა საპარლამენტო არჩევნებში საარჩევნო რეგისტრაციისათვის პროპორციულ სიების წარდგენისას აუცილებლად უნდა დაიცვან 50% გენდერული კვოტა (ყოველი მეორე ქალი). პარლამენტის მიერ ამ წინადადების მიღების შემთხვევაში, მომავალი არჩევნების შედეგად პარლამენტში ქალებისათვის მინიმუმ 25%-იანი წარმომადგენლობა, ე.ი. 38 ქალი იქნებოდა გარანტირებული. მიუხედავად იმისა, რომ წინადადებას მხარი დაუჭირა ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა ის მაინც ვერ გავიდა პლენარულ სხდომაზე. 2016 წელს 25 მაისს საქართველოს პარლამენტს წარედგინა პარლამენტის წევრების ნანა ყეინიშვილისა და თეიმურაზ ჭკუასელის საკანონმდებლო ინიციატივა, რომელიც შემუშავდა 2015 წელს. აღნიშნული ინიციატივა გულისხმობს ცვლილების შეტანას საქართველოს „საარჩევნო კოდექსში“ და საქართველოს ორგანულ კანონში „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“, რომლის მიხედვითაც 150 წევრიან პარლამენტში გარანტირებულად იქნებოდა სულ მცირე 23 ქალი:

- „პარტია, რომელიც იღებს დაფინანსებას ამ მუხლით დადგენილი წესით, მიიღებს საბაზო დაფინანსებაზე დანამატს საბაზო დაფინანსების 30%-ის

[7] იხ. საპარლამეტაშორისო კავშირის ვებ–გვერდი: http://www.ipu.org/wmn-e/classif.htm

[8] წინადადებას 9 არასამთავრობო ორგანიზაცია აწერდა ხელს: სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, ქალთა საინფორმაციო ცენტრი, გენდერული სამართლიანობა, კავშირი „საფარი“, ჟურნალისტთა ქსელი გენდერული თანასწორობისათვის, იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია „თანხმობა“, გენდერული თანასწორობის ქსელი,, ევროპელი ქალები საერთო მომავლისათვის - საქართველო.

ოდენობით, თუ ამ პარტიის ან შესაბამისი საარჩევნო ბლოკის მიერ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნებზე – ყველა პარტიულ სიაში, რომლის შედეგების საფუძველზედაც მიიღო დაფინანსება, კანდიდატთა პირველ, მეორე და ყოველ მომდევნო ათეულში ერთიმეორისაგან განსხვავებული სქესი წარმოდგენილია სულ მცირე 30%-ით“ (ორგანული კანონი მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ, მუხლი 30).

- წარდგენილ სიაში საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატთა რაოდენობა არ უნდა იყოს 100-ზე ნაკლები და 200-ზე მეტი. ამასთან, წარდგენილ სიაში, სქესთა შორის ბალანსის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, ყოველ მომდევნო სამ კანდიდატს შორის ერთი მაინც, წარმოდგენილი უნდა იყოს განსხვავებული სქესის“ (საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლი 115).

საქართველოს პარლამენტმა მხარი არ დაუჭირა აღნიშნულ ინიციატივას. თავდაპირველად კანონპროექტი განიხილეს ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციისა და იურიდიულ საკითხთა კომიტეტებმა. ამ უკანასკნელმა უმრავლესობის წევრის მიერ შემოთავაზებულ ინიციატივას მხარი არ დაუჭირა, თუმცა ის მაინც გავიდა პლენარულ სხდომაზე, მაგრამ პირველივე მოსმენაზე ჩავარდა. სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ წინა მოწვევის პარლამენტის ბევრ წარმომადგენელი არ თვლიდა, რომ ქალთა მონაწილეობის გაზრდისა და ზოგადად, გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისათვის ერთ–ერთი ეფექტიანი გზა არის დროებითი სპეციალური ზომების – გენდერული კვოტების არსებობა. გენდერული თანასწორობის პოლიტიკის ეფექტიანი განხორციელებისათვის მნიშვნელოვანია, რომ მმართველობის სხვადასხვა დონეზე შეიქმნას ინსტიტუციური მექანიზმები.

2013 წელს არასამთავრობო ორგანიზაციის „ქალთა საინფორმაციო ცენტრის“ ინიციატივითა და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის

სამინისტროს მხარდაჭერით 49 მუნიციპალიტეტში დაინიშნენ გენდერულ საკითხთა მრჩევლები. აღნიშნული თანამდებობისთვის სამინისტროსა და „ქალთა საინფორმაციო ცენტრის“ მიერ ერთობლივად შემუშავდა თანამდებობრივი ინსტრუქცია. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს პოზიცია არ არის კანონით დარეგულირებული და, ჯერჯერობით, მხოლოდ რეკომენდაცია უდევს საფუძვლად. 2015 წელს მუნიციპალიტეტებში გენდერულ საკითხთა მრჩევლის პოზიციის, როგორც მუდმივმოქმედი და სავალდებულო ინსტიტუციური მექანიზმის დანერგვისა და ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის მომზადდა საკანონმდებლო ინიციატივა. შესაბამისად შემუშავდა ცვლილებები, რომელიც 2016 წლის აპრილში შევიდა „საქართველოს კანონში გენდერული თანასწორობის შესახებ“ და საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში“. საკანონმდებლო ინიციატივა გულისხმობს საკრებულოებში გენდერული თანასწორობის საბჭოების ფორმირებას, ხოლო გამგეობებში/მერიებში ერთ-ერთი საჯარო მოსამსახურისათვის გამგებლის/მერის მიერ ადგილობრივ დონეზე გენდერული თანასწორობის დაცვასთან დაკავშირებით შესაბამისი ფუნქციების განსაზღვრას.

საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტის მიხედვით „საქართველოს გენდერული თანასწორობის კანონში“ მე–13 მუხლი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით და დაემატა 2 მნიშვნელოვანი ქვეპუნქტი :

- „მუნიციპალიტეტის საკრებულო მუნიციპალიტეტში გენდერულ საკითხებზე სისტემური და საქართველოს პარლამენტის მიერ შექმნილ გენდერული თანასწორობის საბჭოსთან კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად ქმნის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს, რომლის შემადგენლობა, სტატუსი, ფუნქციები და უფლებამოსილება განისაზღვრება საკრებულოს რეგლამენტით და მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულებით, რომელსაც ამტკიცებს შესაბამისი საკრებულო“;

- „მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დისკრიმინაციის გამოვლენისა და აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად საჭირო რეკომენდაციებს ამზადებს გამგეობის/მერიის მოსამსახურე-მრჩეველი გენდერული თანასწორობის საკითხებში, რომელსაც „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგებელი/მერი“.

აღნიშნული ცვლილებები ხელს შეუწყობს გენდერულ საკითხებზე ყურადღების გამახვილებას, გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფასა და ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესებას.

გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისათვის მნიშვნელოვანია, რომ გენდერული საკითხები გათვალისწინებული იყოს ხელისუფლების სხავადასხვა დონეზე. ამ მხრივ საგულისხმოა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული სტრატეგიის შემუშავება, რომელიც 2017 წლის 3 თებერვალს დამტკიცდა. აღნიშნული სტრატეგია განსაზღვრავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერულ პოლიტიკასა და მის მიზნებს 2017-2020 წლებისთვის.

საქართველოში სქესის პრენატალური შერჩევის რიცხვი იზრდება. თუმცა, პრაქტიკულად არ ხდება ამ საკითხის გაშუქება[9]. გაეროს მოსახლეობის ფონდის მხარდაჭერით 2014 წელს ჩატარდა კვლევა – „გენდერული ნიშნით სქესის შერჩევა საქართველოში – კონტექსტი, მტკიცებულებები და შედეგები“[10], სადაც ნაჩვენებია და გაანალიზებულია საქართველოში არსებული მდგომარეობა გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის თვალსაზრისით. როგორც რიგ ქვეყნებში, ასევე, საქართველოში დგას ვაჟების დაბადების უპირატესობის საკითხი, რასაც ზოგჯერ ორსულობის ხელოვნური შეწყვეტა მოჰყვება. ეს კი უარყოფითად აისახება სქესთა შორის თანაფარდობაზე და

[9]UNFPA, 2014, „გენდერული ნიშნით სქესის შერჩევა საქართველოში – კონტექსტი, მტკიცებულებები და შედეგები“.
[10] იხ. კვლევის ანგარიში: http://www.georgiaunfpa.ge/publications/Publications1

ასევე, ქალის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს წარომადგენლები ექსპერტებთან ერთად მუშაობენ აღნიშნულ პრობლემაზე და მიმდინარეობს დოკუმენტაციის შემუშავება. დოკუმენტაციაში ასახული იქნება ორსულობის ულტრასონოგრაფიული მონიტორინგის საკითხი, რაც სქესის დიაგნოსტიკის შეზღუდვასთან არის დაკავშირებული.

ქალთა უფლებების დაცვა და მათი წახალისება აუცილებელია ყველა სფეროსა თუ მიმართულებაში. მნიშვნელოვანია, რომ პატიმარი ქალებიც სარგებლობდნენ უფლებებით და ჰქონდეთ ამ უფლებების რეალიზების პირობები. საქართველოს კანონმდებლობით პატიმარ დედას აქვს უფლება, რომ პენიტენციალურ დაწესებულებაში მასთან ერთად იცხოვროს 3 წლამდე ასაკის შვილმა[11]. 3 წლის ასაკის ბავშვი კი ტოვებს დაწესებულებას. იმისათვის რომ დედებს გაუხანგრძლივდეთ მცირეასაკოვან შვილებთან ურთიერთობა, 2016 წელს მომზადდა საკანონმდებლო ცვლილება, რომლის მიხედვითაც, მას მერე რაც ბავშვი დატოვებს დაწესებულებას, პატიმარ დედას მიეცემა უფლება ერთი წლის განმავლობაში შაბათ-კვირას მოინახულოს შვილი (შესაბამისად, გადის დაწესებულებიდან). ამ გადაწყვეტილებას იღებს პენიტენციური დეპარტამენტის დირექტორი. აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილება უკვე წარედგინა პარლამენტს და მიმდინარეობს საკომიტეტო განხილვა.

მსჯავრდებულთა მდგომარეობის გაუმჯობესების, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მათთვის ჯანსაღი გარემოს შექმნისა და მომავალში დანაშაულის თავიდან აცილების მიზნით, მათთვის განისაზღვრება სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის ინსტრუქცია. [12] ინსტრუქციის მიხედვით მსჯავრდებულებისთვის მუშავდება ინდივიდუალური გეგმა და ისინი ერთვებიან

[11] საქართველოს კანონი - პატიმრობის კოდექსი (მუხლი 72, პუნქტი 3)
[12] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება №33, 2015

შესაბამის ფსიქო–სოციალურ სარეაბილიტაციო პროგრამაში. 2016 წელს ინდივიდუალურ პროგრამაში ჩართული იყო პატიმარ ქალთა 80%.

გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად ღირებულად აღიქვამს საზოგადოება ამ საკითხს. ქვეყანაში გავრცელებული შეხედულებები და მოქმედი გენდერული სტერეოტიპები [13] ხელს უშლის თანასწორობის დამკვიდრებას. საზოგადოების დამოკიდებულებების ცვლილების ერთ–ერთი მექანიზმი სწორედ განათლება, ცოდნის დონის ამაღლება და ინფორმირებულობაა. განსაკუთრებით, მნიშნელოვანია ახალგაზრდა თაობების თანასწორობის პრინციპზე აღზრდა, რაც სკოლიდანვე უნდა დაიწყოს. სწორედ ამ მიზნით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) ერთობლივი ძალისხმევით ეროვნულ სასწავლო გეგმაში [14] შევიდა გარკეეული ცვლილებები გენდერული ასპექტების გათვალისწინებით (დამტკიცებულია მინისტრის 2016 წლის 18 მაისის N40/ნ ბრძანებით) *(გეგმა: 2.2.2);*

სახელმძღვანელოსათვის გრიფირების მინიჭება გულისხმობს, რომ ის უკვე რეკომენდებულია და შეიძლება მისი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში გამოყენება. გრიფირებისათვის აუცილებელია გარკვეული მოთხოვნებისა და კრიტერიუმების დაკმაყოფილება. 2017 წლის 15 თებერვალს დამტკიცდა „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების წესი". უნდა აღინიშნოს, რომ დაგეგმილია შინაარსობრივი კრიტერიუმების შემუშავება და დამტკიცება, რომელთა შორისაც იქნება გენდერული კრიტერიუმი *(გეგმა: 2.2.4.).*

[13] გავრცელებულ შეხედულებას ქალისა და მამაკაცის ფსიქოლოგიური და ქცევითი მახასიათებლების შესახებ, ანუ როგორი უნდა იყოს და როგორ უნდა იქცეოდეს ქალი ან კაცი ამ თუ იმ საზოგადოებაში, გენდერული სტერეოტიპი ეწოდება (აბაშიძე თ., ვინერჰოლმი კ., ჟვანია ი., (2012). გენდერული პოლიტიკა, თბილისი)

[14] http://www.mes.gov.ge/content.php?id=3923&lang=geo

2. ეროვნული მექანიზმები

გენდერული თანასწორობის დამყარება სხვადასხვა მნიშვნელოვანი ღონისძიების გატარებას გულისხმობს. საქართველოს მთავრობა, რომელიც იზიარებს თანასწორობის პრინციპებსა და ამასთან, იღებს საერთაშორისო ვალდებულებებს, რომ ხელს შეუწყობს ქვეყანაში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფას, სხვადასხვა დროს ქმნის სხვადასხვა ინსტიტუციურ მექანიზმს. 1995 წელს პეკინში ჩატარდა გაეროს მე–4 მსოფლიო კონფერენცია „მოძრაობა თანასწორობის, განვითარებისა და მშვიდობისათვის“. კონფერენციაზე 189 ქვეყნის მთავრობები, მათ შორის საქართველოს მთავრობაც, შეთანხმდნენ ხუთწლიან სამოქმედო გეგმაზე, რომლის მიზანი იყო ქალის როლის გაძლიერება, გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, განსაკუთრებით, გადაწყვეტილების მიღების დონეზე. 1999 წლიდან პეკინის დეკლარაციის საპასუხოდ საქართველოში იქმნება გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმები.

2016 წელს ამ მიმართულებით განხორციელებულ ცვლილებებთან დაკავშირებით აღსანიშნავია ის მნიშვნელოვანი ინიციატივა, რომელიც „სტამბოლის კონვენციის“ სარატიფიკაციო საკანონმდებლო ცვლილების პაკეტის ფარგლებშია გათვალისწინებული. აღნიშნული ცვლილება გულისხმობს დამატებას და ახალ რედაქციას საქართველოს კანონში „გენდერული თანასწორობის შესახებ“. კანონის მე–12 მუხლი ეხებოდა გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის საკითხს საქართველოს პარლამენტის მიერ. ახალი რედაქციით კი იცვლება მუხლის სათაური და აქვე ხაზი ესმევა მთავრობის როლს –„გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს მთავრობის მიერ“. ეს კი განაპირობებს აღნიშნულ მუხლში მე–6 პუნქტის დამატებას, რომელიც გულისხმობს – „საქართველოს მთავრობა გენდერულ და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა საკითხებზე სისტემური და კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად ქმნის გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიას.

უწყებათაშორისი კომისიის შემადგენლობა, სტატუსი, ფუნქციები, უფლებამოსილება და საქმიანობის წესი განისაზღვრება კომისიის დებულებით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს მთავრობა“. აქვე აღნიშნულია, რომ დებულება უნდა დამტკიცდეს 2017 წლის 1 მაისამდე.

უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი უწყებათაშორისი კომისიის შექმნა და მისი თანამშრომლობა სხვა ეროვნულ მექანიზმებთან გაამლიერებს და უფრო ეფექტიანს გახდის გენდერული თანასწორობის პოლიტიკას.

გენდერული პოლიტიკის განხორციელება ადგილობრივ დონეებზე ქვეყნის მთავარი გენდერული სტრატეგიის ნაწილია. ადგილობრივ დონეებზე გენდერული თანასწორობის საკითხების ეფექტური ინტეგრირებისათვის მნიშვნელოვანია, რომ არსებობდეს შესაბამისი მექანიზმი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს პოლიტიკის დაგეგმვაში, მის განხორცილებასა და მონიტორინგში. გენდერული თანასწორობის კანონში შეტანილი ცვლილების შესაბამისად 2016 ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შეიქმნა გენდერული საბჭო (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №26-80) [15] , რომელის მიზანია გენდერული თანასწორობის საკითხებზე სისტემური მუშაობა და პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოსთან მჭიდრო თანამშრომლობა.

გეგმის განხორციელების პროცესში სხვადასხვა სამინისტროა ჩართული. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ბევრ უწყებაში დგას გენდერულ თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი პირის პრობლემა. ხშირად ეს ადამიანები იცვლებიან, ახლებს კი უწევთ საკითხში თავიდან გარკვევა. გარდა ამისა, მათ ხშირად უწყების შიგნით ფუნქციების შესრულება ევალებათ და შესაბამისად, არ რჩება საკმარისი დრო გენდერული თანასწორობის საკითხებზე აქტიური მუშაობისათვის. ამ პრობლემის თავიდან აცილებისა და გეგმით ნაკისრი ვალდებულებების ეფექტიანი შესრულების

[15] იხ. https://matsne.gov.ge/ka/document/view/3425962

მიზნით საქართველოს რეგიონული და ინფრასტრუქტურის განვითარების სამინისტრომ 2016 წელს დაიწყო პასუხიმგებელი პირის დანიშვნის საკითხის განხილვა. ამის შედეგად 2017 წლის 20 იანვარს გამოიცა მინისტრის №11/ო ბრძანება „საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ“, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა პასუხისმგებელი პირი, რომელიც აღნიშნული ბრძანების საფუძველზე შეითავსებს გენდერულ საკითხებზე მუშაობას.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით რეგიონული განვითარების სტრატეგიების სამოქმედო გეგმების შემუშავების სახელმძღვანელოში (დამტკიცებულია „რეგიონული განვითარების სტრატეგიების სამოქმედო გეგმების შემუშავების სახელმძღვანელოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 აგვისტოს №1750 განკარგულებით), პროექტების შეფასების მე-2 ფილტრში გათვალისწინებულ იქნა მოსალოდნელი სოციალური ეფექტის კრიტერიუმი, რომელიც მოიცავს, აგრეთვე, გენდერული დისბალანსის შემცირებას.

3. ქალთა მხარდამჭერი პროგრამები

გენდერული თანასწორობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია ქალთა ეკონომიკური გაძლიერება, რასაც სერიოზული მხარდაჭერა სჭირდება, განსაკუთრებით, სახელმწიფოს მხრიდან. ამ მიზნით გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებულ დოკუმენტებში აღნიშნულ საკითხს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, მათ შორის, „საქართველოში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2014–2016 წლების სამოქმედო გეგმაშიც“.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად ახორციელებს სახელმწიფო პროგრამას „აწარმოე საქართველოში“. „აწარმოე საქართველოში“ არის სისტემური რეფორმატორული პროგრამა, რომლის ძირითადი მიზნებია: საქართველოში მეწარმეობის ხელშეწყობა; ადგილობრივი წარმოების სტიმულირება - განსაკუთრებით

ეკონომიკურად ნაკლებად განვითარებულ რეგიონებში; ახალი საწარმოების ამუშავება; ახალი სამუშაო ადგილების შექმნა; საექსპორტო პოტენციალის გაზრდა. პროგრამა მოიცავს 3 კომპონენტს: ფინანსებზე ხელმისაწვდომობა; ინფრასტრუქტურაზე (უძრავი ქონება) ხელმისაწვდომობა; საკონსულტაციო მომსახურება. მართალია აღნიშნული პროგრამა უშუალოდ გენდერული პრობლემების მოგვარებისათვის არ არის შექმნილი, მაგრამ ქალებისათვის ახალ შესაძლებლობებს ქმნის.

2015-2016 წლებში „აწარმოე საქართველოს“ მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამის[16] ფარგლებში განმცხადებელთა რაოდენობამ შეადგინა სულ 43 885 ადამიანი, მათ შორის 16401 არის ქალი - მთლიანად განმცხადებელთა 37.5%. პროგრამის ფარგლებში ტრენინგი ჩაუტარდა 8880 ადამიანს, რომელთა შორის ქალთა რაოდენობამ შეადგინა 3200 - სულ 36%. პროგრამის ფარგლებში დაფინანსებულ ბენეფიციართა რაოდენობამ შეადგინა სულ 4911 ადამიანი, მათ შორის 1935 ქალი - მთლიანი დაფინანსებულ ბენეფიციართა 40%.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი ს.ს.ი.პ. ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს (GITA) მიზანია მეწარმეების მიერ ინოვაციური პროექტებისა და დამწყები ბიზნესის დაფინანსების ხელშეწყობა. სააგენტომ ინოვაციების და ტექნოლოგიური განვითარების საფუძველზე საკუთარი წვლილი უნდა შეიტანოს ქვეყნის წინაშე მდგარი მიზნების მიღწევაში, მონაწილეობა მიიღოს ეკონომიკური კეთილდღეობის ამაღლებაში შემდეგი აქტივობებით: ინოვაციური ეკოსისტემის შექმნა, ცოდნისა და ინოვაციების კომერციალიზაციის მხარდაჭერა, ინოვაციური ინფრასტრუქტურის შექმნა, აქტიური თანამშრომლობის დამყარება ბიზნესსა და აკადემიურ სფეროს შორის. შესაბამისად, სააგენტო გასცემს გრანტებს და მხარს უჭერს ახალ კრეატიულ

[16] პროგრამა გულისხმობს საქართველოს რეგიონებში მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობას ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერის გზით

წამოწყებებს. მის მიერ 2016 წელს განხორციელებული პროექტების ბენეფიცირთა 35 %-ს ქალები შეადგენდენ[17]. კერძოდ,

- მიკრო გრანტების პროგრამის ფარგლებში 84 დაფინანსებული ბენეფიციარიდან 17 (20%) ქალი იყო, ხოლო 2017 წლის იანვრიდან დღემდე 12 დაფინანსებული ბენეფიციარიდან 3 ქალია (25%);
- სტარტაპ საქართველო პროგრამის ფარგლებში მაღალტექნოლოგიური იდეის მქონე 20 დაფინანსებული სტარტაპიდან 4 (20%) ქალი ბენეფიციარია;
- სამრეწველო ლაბორატორიაში შემოსული 420 განაცხადიდან 140 (34%) ქალს ეკუთვნის. პროექტი „დაიწყე ბიზნესი ფაბლაბთან ერთად“ 205 მონაწილიდან 93 ქალია (45%).

სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით 2012 წელს დაარსდა ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო, რომელიც ახორციელებს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ინიცირებულ პროექტებს და მართავს სხვადასხვა დაქვემდებარებულ სასოფლო-სამეურნეო და გადამამუშავებელ საწარმოებს. სააგენტოს მიერ 2016 წელს განხორციელებული პროექტებში მონაწილეობდნენ ქალებიც. მაგალითად,

- შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტი: პროექტი მიზნად ისახავს სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების, გადამამუშავებელი და შენახვა-რეალიზაციის საწარმოო პროცესების ხელშეწყობას, როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისათვის იაფი და ხელმისაწვდომი ფულადი სახსრებით უზრუნველყოფის გზით. აღნიშნულ პროექტში მონაწილე ბენეფიციართა 7 % – ს წარმოადგენდნენ ქალები, სულ მონაწილეობა მიიღო 15643 ფიზიკურმა პირმა და აქედან ქალი იყო 1115.

[17] იხილეთ დანართი

- მცირემიწიან ფერმერთა 2016 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტი: პროექტის ბენეფიციარები არიან ფერმერები, რომელთა საკუთრებაში ან ფაქტობრივ მფლობელობაშია სახნავი მიწა. ამ პროექტში მონაწილე ბენეფიციართა დაახლოებით 34% –ს ქალები წარმოადგენდნენ, სულ მონაწილეობა მიიღო 767 020 ბენეფიციარიდან 258 681 ქალია.
- აგროდაზღვევა: პროექტი მიზნად ისახავს აგროსექტორში სადაზღვევო ბაზრის განვითარებას, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ხელშეწყობას. პროექტის ფარგლებში 2016 წელს 3 129 ქალმა მიიღო აგროდაზღვევა, რაც მათ რისკებთან (მაგალითად: სეტყვა, საშემოდგომო ყინვა და ა.შ.) დაკავშირებულ ხარჯებს დაფარავს.
- დანერგე მომავალი: პროექტი მიზნად ისახავს სასოფლო სამეურნეო მიწების ეფექტიან გამოყენებას მრავალწლოვანი კულტურების გაშენების გზით და სუფთა სარგავი ნერგების წარმოების მხარდაჭერას. პროექტის 35 ბენეფიციარიდან 9 იყო ქალი.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, კერძოდ სასოფლო სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტომ დაიწყო მუშაობა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში ქალთა როლის გაძლიერებაზე *(გვგმა: 3.5.).*

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შექმნა/განვითარება ხელს უწყობს ეკონომიკის ზრდას, სოფლის მოსახლეობის დასაქმებას და შესაბამისად, მათი სოფლიდან მიგრაციის შეჩერებას. სამწუხაროდ, ქვეყანაში არსებულმა ეკონომიკურმა მდგომარეობამ და უმუშევრობამ გამოიწვია შრომითი მიგრაციის ზრდა. ქალთა რაოდენობა საკმაოდ მაღალია მიგრაციის პროცესში, რაც მატერიალური თვალსაზრისით დადებითად აისახება ოჯახებზე, თუმცა უარყოფითი შედეგი აქვს ბავშვთა და, ზოგადად, ოჯახის ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე. აქედან გამომდინარე, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება მსგავს პროექტებში ქალთა მონაწილეობის წახალისება.

2016 წელს რეგისტრირებულ 1568 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივში გაერთიანებულია 13658 მეპაიე, მათ შორის 29% ქალია, სულ 3902. 314 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარე ქალია, ხოლო 76 ქალთა კოოპერატივია დაფუძნებული.

ბოლო დროინდელი კვლევების მიხედვით [18] საქართველოში ერთ–ერთ მტკივნეულ საკითხს ადრეული ქორწინება წარმოადგენს. ადრეულ ასაკში ოჯახური ურთიერთობები საკმაოდ მძიმედ აისახება გოგონებზე, რომლებიც ხშირად სკოლასაც კი ვერ ამთავრებენ, შესაბამისად, ვერ ეუფლებიან პროფესიას და ვერ ახერხებენ დასაქმებას.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 2 ივნისის N 238 დადგენილებით დამტკიცდა ,,სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამა“. პროგრამის მიზანია შრომის ბაზრის მოთხოვნად პროფესიებში სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებით, სამუშაო ადგილებზე შემდგომი სტაჟირებით მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ამ გზით სამუშაოს მაძიებელთა დასაქმების ხელშეწყობა. პროგრამის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ 20 წლის ზემოთ შრომითი ქმედუნარიანი საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც სააგენტოში რეგისტრირებულნი არიან სამუშაოს მაძიებლებად და თანახმა არიან, გაიარონ პროფესიული მომზადება-გადამზადების მოკლევადიანი სასწავლო კურსი. პროგრამის ბენეფიციარს მოეთხოვება, დასრულებული ჰქონდეს ზოგადი განათლების საბაზო საფეხური. უნდა აღინიშნოს, რომ ეს შეზღუდვა არ ვრცელდება პირთა გარკვეულ წრეზე, მათ შორის, ქალებზე, რომლებმაც ადრეული ქორწინების გამო ვერ დამთავრეს ზოგადი საბაზო განათლების საფეხური. 216 წელს გაიცა 2125 ვაუჩერი სხვადასხვა მოთხოვნად პროფესიაზე (პროფესიათა რაოდენობა – 35). პროგრამაში რეგისტრირებულთა 70% იყო ქალი.

[18] „საქართველო – ადრეული ქორწინება“, UNFPA.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ 2015 წლის ნოემბრიდან დაიწყო პროექტი „გენდერი და საკუთრება“, რომელიც მიზნად ისახავს საკუთრების განაწილებისას გენდერული თანასწორობის პრინციპებისა და თანაბარი უფლებების შესახებ საზოგადოების ინფორმირებას. პროექტის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება მოქალაქეებისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების გაცნობა და საკუთრების თანაბარი უფლების შესახებ მათი ცნობიერების ამაღლებაა.

გენდერული უთანასწორობა დამკვიდრებულია ბევრ სფეროში და ის, ძირითადად, ქალთა მდგომარეობაზე აისახება. ძალიან ხშირად ირღვევა პატიმარი ქალების უფლებები და მათ მიმართ დისკრიმინაციასაც აქვს ადგილი. უნდა აღინიშნოს, რომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფ ქალებს, შესაბამისი ინფრასტრუქტურის არარსებობის გამო (ეს მიზეზი დასახელდა გამოკითხვის დროს)[19], არ შეეძლოთ გრძელვადიანი პაემნით სარგებლობა. პატიმრობის ახალ კოდექსში (რომელიც ძალაში შევიდა 2014 წლის 10 მაისს) ნათქვამია, რომ „ხანგრძლივი პაემნის უფლების განხორციელების მიზნით სამინისტრომ არაუგვიანეს 2015 წლის 31 დეკემბრისა უზრუნველყოს საჭირო პირობების შექმნა და ხანგრძლივი პაემნის უფლების განხორციელება ქალთა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში“. ამ ცვლილების შესაბამისად 2015 წელს დაიწყო სასჯელაღსრულების N 5 დაწესებულების ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და დღესაც გრძელდება. 2016 წელს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად გარემონტდა და აღიჭურვა დაწესებულების საკნები, სამედიცინო დანიშნულების ოთახები და საშხაპეები. ასევე, მოეწყო ფიტნესის ოთახები, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს პატიმარი ქალებისათვის ჯანმრთელი ცხოვრების წესის დანერგვას. ამავე წლიდან ექსპლუატაციაში შევიდა ოთხნომრიანი სასტუმრო, რომელიც განკუთვნილია გრძელვადიანი პაემნებისათვის. დედათა და

[19] „საქართველოში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2014–2016 წლების სამოქმედო გეგმა“2014 წლის შესრულების ანგარიში.

ბავშვთა საცხოვრებელი კორპუსი ოთახები, სადაც იმყოფებიან პატიმარი ქალები 3 წლამდე ასაკი შვილებთან ერთად, აღიჭურვა შესაბამისი ავეჯითა და ინვენტარით. ბავშვებისათვის უზრუნველყოფილია კვება და მოწყობილია გასართობი ადგილები. ყოველივე ეს კი ძალიან მნიშვნელოვანია, რათა ქალებმა თავიანთ შვილებთან ერთად უფრო კომფორტულად იგრძნონ თავი.

პენიტენციურ სისტემაში მნიშვნელოვანია, რომ მსჯავრდებულებმა მოახერხონ საკუთარი თავის რეალიზება და დასაქმება, რაც აუცილებელია მათი ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციისათვის. საქართველოს პენიტენციური სისტემის მარეგულირებელი ნორმების საფუძველზე, შესაძლებელია მსჯავრდებულთა დასაქმება 3 მიმართულებით:

1. სამეურნეო სამსახური - 2016 წელს დასაქმებული იყო 628 მსჯავრდებული, მათ შორის 28 ქალი;
2. დასაქმების მინი კერები და სამეწარმეო საქმიანობა - N5 ქალთა დაწესებულებაში ფუნქციონირებს სამკერვალო სალონი, 2016 წელს დასაქმდა 35 მსჯავრდებული ქალი; ხოლო სილამაზის სალონში - 2 მსჯავრდებული ქალი;
3. ინდივიდუალური საქმიანობის შედეგად შექმნილი ნაკეთობების რეალიზაცია - 2016 წლის ივლისში სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ინიციატივით შეიქმნა ბრალდებულ/მსჯავრდებულთა ხელნაკეთი ნივთების გაყიდვების ვებ-გვერდი. გასაყიდად წარმოდგენილი ნივთები განთავსებულია სპეციალურად შექმნილ ვებ-გვერდზე www. online.moc.gov.ge და მიმდინარეობს რეალიზაცია, ხოლო გაყიდვების შედეგად მიღებული შემოსავალი მსჯავრდებულთა საბანკო პირად ანგარიშზე ირიცხება პირდაპირ.

გარდა ამისა, პენიტენციურ სისტემაში მსჯავრდებულებს ეძლევათ პროფესიის დაუფლების საშუალება. მათ შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ პროფესიულ

პროგრამებში. 2016 წლის განმავლობაში აღნიშნულ პროგრამაში მონაწილეობდა სულ 1325 მსჯავრდებული და მათ შორის იყო 160 ქალი.

საქართველოში ქალის ტრადიციული როლი ოჯახში საქმიანობას უკავშირდება. რესურსებზე ხელმისაწვდომობა, რაც ქალს ოჯახზე ზრუნვასა და საოჯახო საქმიანობას გაუმარტივებს გენდერული მეინსტრიმინგის მნიშვნელოვანი ნაწილია.

საქართველოში საოჯახო საქმიანობით ტრადიციულად ქალები არიან დაკავებული, შესაბამისად, ამ საქმიანობისათვის უკეთესი პირობების შექმნა მნიშვნელოვანია ქალის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ 2016 წლისათვის საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს მიერ 95 დ. პ (3.6.1), ელექტრიფიცირებულია 4 დ.პ. და ელექტრო ენერგიის ინდივიდუალური მრიცხველი დაუმონტაჟდა - 41726 აბონენტს, რაც ოჯახებს შესაძლებლობას მისცემს უკეთ აკონტროლონ ელექტრო ენერგიის ხარჯვა და დაზოგონ საკუთარი ფინანსები (3.6.1). ასევე, ექსპლუატაციაში შევიდა 1 ქარის და 3 ჰიდრო ელექტროსადგური (3.6.2), რაც ზრდის ოჯახების ბუნებრივი აირითა და მუდმივი ელექტროენერგიით მომარაგებას და ქალს უქმნის უკეთეს პირობებს საოჯახო საქმიანობისათვის.

გენდერული მიდგომა ასახულია საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს აქტივობებშიც. სამინისტროს მიერ 2016 წელს დაფინანსებულია მთელი რიგი პროექტებისა, რომელიც გენდერულ პრობლემატიკას ეძღვნება. მაგალითად, პროექტი „აზერბაიჯანული ხელით ნაქსოვი ხალიჩების ტრადიციის შენარჩუნება“ (პროექტში, რომლის მიზანია ეთნიკურ უმცირესობათა ტრადიციების, ტექნოლოგიების შენარჩუნება-გავრცელება ძირითადად, ქალები მონაწილეობენ), კატალოგის „ვაინახური ხელოვნება" გამოცემის ხელშეწყობა, ქართული ხალხური რეწვის ნიმუშების გამოფენა მილანში (მონაწილეთა 95% ქალი იყო), ტრადიციული ხალხური რეწვის ნიმუშების გამოფენა ტურიზმის ყოველწლიური საერთაშორისო ფესტივალის ფარგლებში (მონაწილეთა 80% ქალი იყო) და სხვა *(გეგმა: 2.6)*.

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის 2015-2019 წლების სტრატეგიული გეგმის[20] ერთი-ერთი პრიორიტეტია გენდერულად დაბალანსებული და თანაბარი გარემოს ხელშეწყობა, რაც გულისხმობს პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალთა მონაწილეობის წახალისებას. გეგმის შესაბამისად 2016 წელს ცესკომ დაამტკიცა საარჩევნო ადმინისტრაციის გენდერული თანასწორობის პოლიტიკის დოკუმენტი[21], რომელიც განსაზღვრავს ადმინისტრაციის სახელმძღვანელო პრინციპებსა და მიზნებს გენდერული თვალსაზრისით. დოკუმენტი შემუშავდა საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) მხარდაჭერით.

ამავე წლის ბიუჯეტის ფორმირების პროცესში ცესკომ გაითვალისწინა გენდერული ასპექტები და გამოსაცხადებელი საგრანტო კონკურსისათვის პრიორიტეტულ მიმართულებად გამოყო: „ქალთა მონაწილეობის ხელშეწყობა 2016 წლის 8 ოქტომბერს გასამართი საქართველოს პარლამენტის არჩევნების პროცესში“. საგრანტო საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე, ამ მიმართულებით ცესკოსთან არსებულმა სსიპ - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრმა (სწავლების ცენტრი) დააფინანსა 6 ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის პროექტი, რომელიც მიზნად ისახავდა საარჩევნო პროცესებში ქალთა ჩართულობის მოტივაციის ზრდისა და მათი პოლიტიკური, სამოქალაქო უფლებების რეალიზების ხელშეწყობას *(გეგმა: 2.6)*. პროექტების ფარგლებში განხორციელდა სხვადასხვა აქტივობა: საგანმანათლებლო პროგრამები, საინფორმაციო კამპანიები, გადაცემები და ა.შ.. სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდნენ, როგორც მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები ქალები, ისე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები. დაფინანსებული პროექტების საერთო ბიუჯეტმა შეადგინა 165 500 ლარი და მისი ხანგრძლივობა იყო 2 თვე.

---

[20] სტრატეგიული პრიორიტეტი 3: საარჩევნო გარემო, მიზანი 5, გვ. 17, http://www.cesko.ge/ge/saarchevno-administracia-2-ge/strategia-2012-2015-eng-132-en.

[21] იხ. გენდერული თანასწორობის პოლიტიკის დოკუმენტი ვებგვერდზე: http://www.cesko.ge

2016 წლის დასაწყისში ცესკომ გამოსაცხადებელ საგრანტო კონკურსისთვის პრიორიტეტულ მიმართულებად გამოყო: ქალთა მონაწილეობის ხელშეწყობა საზოგადოებრივ - პოლიტიკურ (საარჩევნო) პროცესში, ხოლო სწავლების ცენტრმა უზრუნველყო საგრანტო კონკურსის ორგანიზება. აღნიშნული მიმართულებით საანგარიშო პერიოდში დააფინანსა 5 არასამთავრობო ორგანიზაცია. პროექტები საარჩევნო პროცესებში ქალთა ჩართულობის მოტივაციის ზრდისა და მათი პოლიტიკური, სამოქალაქო უფლებების რეალიზების ხელშეწყობის მიზნით, საგანმანათლებლო პროგრამების, საინფორმაციო კამპანიების, გადაცემებისა და სხვა ღონისძიებების განხორციელებას ითვალისწინებდა. სწავლების ცენტრის მიერ დაფინანსებული პროექტების ხანგრძლივობა შეადგენდა 6 თვეს და სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდნენ, როგორც მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები ქალები, ასევე სხვადასხვა ეთნიკური უმცირესობები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები. პროექტის განხორციელების გეოგრაფიული არეალი მოიცავდა თბილისს და საქართველოს რეგიონებს. დაფინანსებული პროექტების ჯამური ბიუჯეტმა 242 900 ლარი შეადგინა.

ასევე, მნიშვნელოვანია, რომ შუალედური არჩევნებისთვის საგრანტო კონკურსის პირობებით მოთხოვნილი იყო ყველა სახის საგანმანათლებლო პროექტში გენდერული თანასწორობის საკითხების გათვალისწინება და სხვა მოწყვლად ჯგუფებთან ერთად ქალთა ჩართულობის უზრუნველყოფა.

4. საგანმანათლებლო ინიციატივები

გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფას ხელს უწყობს საზოგადოების დამოკიდებულისა და მოქმედი გენდერული სტერეოტიპების ცვლილება, ასევე, ის თუ რამდენად აცნობიერებს საზოგადოება გენდერული თანასწორობის მნიშვნელობას. ცოდნის დონისა და ინფორმირებულობის ამაღლება საზოგადოებას დაეხმარება დაინახოს ქვეყანაში, გენდერული თანასწორობის თვალსაზრისით, არსებული მდგომარეობის ცვლილების საჭიროება. შესაბამისად, „საქართველოში გენდერული

თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2014–2016 წლების სამოქმედო გეგმის“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია ცოდნის დონის ამაღლება გენდერული თანასწორობის საკითხებზე. უნდა აღინიშნოს, რომ ამ კუთხით აქტიურად მუშაობენ გეგმის განხორცილებაში ჩართული უწყებები. თავად უწყებების თანამშრომლებისათვის არასამთავრობო თუ საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით სისტემატურად იმართება ტრენინგები, სემინარები თუ საინფორმაციო შეხვედრები.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის წარმომადგენლებთან ერთად 2016 წლის 19 მარტს ჩაატარა საინფორმაციო შეხვედრა. შეხვედრა გაიმართა მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ სადახლოს საზოგადოებრივ ცენტრში, რომლის მიზანი იყო ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ ახალგაზრდებთან ოჯახში ძალადობისა და ქალთა მიმართ ძალადობის საკითხების განხილვა.

სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრის დანაშაულის მეორე დონის პრევენციის სამმართველოს პროგრამის – „გოგონათა კლუბი“, მიზანია 14-დან 18 წლამდე გოგონებში ცხოვრებისათვის საჭირო უნარების განვითარება. ეს უნარები მათ დაეხმარება ჯანსაღ, ძლიერ პიროვნებებად ჩამოყალიბებაში. პროგრამის სამიზნე ჯგუფია ცხოვრებისეული სირთულეების მქონე ახალგაზრდები. პროგრამის ფარგლებში მათთვის იმართება ტრენინგები და შეხვედრები. ერთ–ერთი ძირითადი თემატიკა გენდერი, გენდერული სტერეოტიპები და თანასწორობა. 2016 წელს ჩატარდა ტრენინგების ციკლი, რომელშიც სულ 43–მა გოგონამ მიიღო მონაწილეობა, მათ შორის, კახეთის, იმერეთის, სამეგრელოსა და ზემო სვანეთის რეგიონებში.

იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ახორციელებს პროექტს – „გენდერი და საკუთრება“[22], რომლის მიზანია საკუთრების

[22] http://cesko.ge/res/docs/GenderEquality-Web.pdf

განაწილებისას გენდერული თანასწორობის პრინციპების და თანაბარი უფლებების შესახებ საზოგადოების ინფორმირება. აღნიშნული პროექტის ფარგლებში 2016 წელს განხორციელდა საინფორმაციო ღონისძიებები. 2016 წლის განმავლობაში მომზადდა საინფორმაციო რგოლები, რომელიც სოციალური მედიის საშუალებით გავრცელდა.

სსიპ საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის კლინიკის ბაზაზე შემუშავდა სატრენინგო მოდული – „ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პრევენციის სამართლებრივი საშუალებები“. ცენტრის კლინიკა ფუნქციონირებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე, სადაც ტრენერებად წარმოდგენილნი არიან იურიდიული ფაკულტეტის მაგისტრატურის სტუდენტები. ამჟამად მიმდინარეობს მოდულში დაგეგმილ საკანონმდებლო სიახლეებზე ინფორმაციის ინტეგრირება. 2017 წლის 11-12 თებერვალს ჩატარდა კლინიკის ტრენერების ტრენერთა ტრენინგი. 2017 წლის თებერვლიდან კი საპილოტე რეჟიმში ჩატარდება უფასო ტრენინგები პედაგოგების (პროფესიული და უმაღლესი სასწავლებლების აკადემიური პერსონალისათვის) და ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის (მათ შორის, განსაკუთრებით დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებისთვის). ამჟამად მოლაპარაკებები მიმდინარეობს საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან ტრენინგების ჩატარებისათვის საჭირო ფინანსური მხარდაჭერისათვის.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლა არის საგანმანათლებლო ორგანიზაცია, რომელიც უზრუნველყოფს სამოსამართლეო კანდიდატების, მოსამართლეების, მოსამართლეთა თანაშემწეების და სასამართლოს სხვა თანამშრომლების პროფესიულ სწავლებას. მოსამართლეთა და სასამართლოს სხვა მოხელეთა გადამზადების 2016 წლის პროგრამის ფარგლებში, USAID/PROLoG-ის მხარდაჭერით ჩაატარა 2 ტრენინგი (გეგმა: 1.2.5.), თემაზე - „მართლმსაჯულების ხელშეწყობა გენდერული თანასწორობის გზით“. ტრენინგებს ჯამში დაესწრო 34 მონაწილე, აქედან 20 მოსამართლე და 14 მოსამართლის თანაშემწე.

საქართველოს პროკურატურის მიერ 2016 წელა განხორციელდა სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც ასახული იქნა გენდერული თანასწორობის საკითხები:

- საშუალო რგოლის მენეჯერებისათვის ჩატარდა ტრენინგები, რომელიც ეხებოდა სხვადასხვა საკითხს და მათ შორის გენდერულ ძალადობას. სულ მონაწილეობა მიიღო 30–მა პროკურორმა;
- ევროპის საბჭოს რეგიონალური პროექტის ფარგლებში შემუშავდა, სასწავლო პროგრამა და შესაბამისი საკითხავი მასალა თემაზე - ქალთა უფლებების დაცვა და მათთვის სამართლებრივი მექანიზმების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. პროგრამაზე ერთობლივად მუშაობდნენ სასამართლოსა და პროკურატურის სასწავლო ცენტრების წარმომადგენლები, რომელიც დაინერგება ორივე ინსტიტუციაში.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციატივით „ქალთა საინფორმაციო ცენტრმა“[23] ჩაატარა სხვადასხვა ღონისძიება:

- შსს-ს ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის წარმომადგენლებისთვის და სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელებისათვის (25 თანამშრომელი) ჩატარდა ტრენინგი, რომელზეც განხილული იყო გენდერულ პოლიტიკასთან დაკავშირებული ეროვნული და საერთაშორისო ვალდებულებები, კერძოდ, გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციები „ქალებზე, მშვიდობასა და ასევე, საქართველოს ვალდებულება „ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციასთან“ (CEDAW) დაკავშირებით;

[23] ტრენინგი ჩატარდა პროექტის „გაძლიერებული ქალები მშვიდობისა და განვითარებისათვის" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს ქალთა საინფორმ აციო ცენტრი აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მხარდაჭერით.

- შსს-ს სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელი პირებისათვის ჩატარდა 3 დღიანი ტრენინგი გენდერულ თემატიკაზე, რომლის მიზანი იყო მაღალი თანამდებობის პირების ცნობიერების ამაღლება აღნიშნულ საკითხებზე;
- შსს საქმეთა სამინისტროს აკადემიის კურსანტებისთვის ჩატარდა ტრენინგი – ,,უსაფრთხოების სექტორში გენდერული პრინციპების ინტეგრირება", რომელიც მიზნად ისახავდა კურსანტების ცნობიერების ამაღლებას გენდერულ საკითხებზე.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო აქტიურად თანამშრომლობს გაეროს მოსახლეობის ფონდთან (UNFPA), რომლის მხარდაჭერით ახორციელებს პროექტს – „ჩემი უფლებები“. პროექტის ფარგლებში ქ. თბილისისა და კახეთის სკოლებში ჩატარდა ტრენინგები ადამიანის უფლებების, და გენდერული თანასწორობის პრინციპების, აივ-შიდსისა და სქესობრივად გადამდები დაავადებების საკითხებზე. განათლების სამინისტრო დაინტერესდა აღნიშნული პროექტით და 2016-2017 სასწავლო წლიდან აღნიშნული საკითხები ჩართული იქნა ფორმალური განათლების პროგრამებში.

2016 წლის დეკემბერში არასამთავრობო ორგანიზაციამ – „ქალთა საინფორმაციო ცენტრმა“ **საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს** თანამშრომლებისათვის ჩაატარა ტრენინგი თემაზე: „გენდერული მეინსტრიმინგი განათლების სამინისტროში“. ტრენინგის ბოლოს მონაწილეებმა შეიმუშავეს სამინისტროს გენდერული თანასწორობის სტრატეგიის სამუშაო ვერსია.

2016 წელს „ლიდერობის აკადემია 1“ [24] - ის ფარგლებში შემუშავდა სამი მოდული (40 საათი), რომელშიც აისახა გენდერული საკითხები. მოდულის

[24] ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოსა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს შორის გაფორმებული შეთანხმებით ცენტრი ათასწლეულის გამოწვევის

საფუძველზე სკოლის დირექტორებისათვის ჩატარდა ტრენინგები. ამასთან ერთად, ორგანიზაცია IREX–მა, რომელიც „მასწავლებელთა და დირექტორთა განვითარების პროექტს“ საკონსულტაციო მხარდაჭერას უწევს, პროექტისთვის შეიმუშავა გენდერისა და სოციალური ინკლუზიის სტრატეგია.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროსთან ფუნქციონირებს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი, რომლის მიზანია საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სისტემაში მიმდინარე სამართლებრივი რეფორმის ხელშეწყობა; გარდა ამისა, სამინისტროს სისტემაში დასაქმებული საჯარო მოხელეების, პერსონალის ან დასაქმების სურვილის მქონე პირთა მომზადება, გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება. აღნიშნული ცენტრის სასწავლო პროგრამების ფარგლებში 2014 წლიდან დაიწყო პატიმარ ქალებთან მომუშავე სასჯელაღსრულების დაწესებულებების თანამშრომელთა მომზადება არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ გაეროს წესების - ე.წ. „ბანგკოკის წესების“ მიხედვით. „ბანგკოკის წესები“ გულისხმობს პატიმარი ქალებისადმი მოპყრობის სტანდარტებსა და თავისებურებებს. სასჯელაღსრულების დაწესებულებების თანამშრომელთა მომზადების მიზნით, შემუშავდა სატრენინგო მოდული, რომელიც შემდეგ საკითხებს მოიცავს: პატიმარ ქალთა სპეციალური საჭიროებები სასჯელის მოხდის პერიოდში; პატიმარი ქალების მომზადება გათავისუფლებისათვის; ეროვნული კანონმდებლობისა და საერთაშორისო სტანდარტების შედარებითი ანალიზი; ქალთა დაწესებულებაში არსებული პრობლემების ანალიზი და მათი გადაჭრის გზების განხილვა. 2016 წლის განმავლობაში აღნიშნული პროგრამის ფარგლებში გადამზადება გაიარა 1757 თანამშრომელმა (გეგმა: 8.6.4):

- პირველადი მომზადება - 205 თანამშრომელი;

კორპორაციის ფინანსური და ექსპერტული მხარდაჭერით ახორციელებს „მასწავლებელთა და დირექტორთა განვითარების პროექტს“.

- ❖ სავალდებულო სპეციალური პროფესიული მომზადება - 194 თანამშრომელი;
- ❖ პროფესიული გადამზადება - 1358 თანამშრომელი.

პენიტენციურ დაწესებულებებში მსჯავრდებულთათვის პერიოდულად ტარდება ტრენინგები სხვადასხვა მიმართულებით. მთლიანობაში, 2016 წელს ბრალდებულ/მსჯავრდებულთა უფლებების შესახებ ტრენინგი გაიარა 513-მა პატიმარმა, მათ შორის, ქალებმაც[25] .

ცენტრალური საარჩევნო კომისიის სწავლების ცენტრმა 2016 წლის განმავლობაში სხვადასხვა ორგანიზაციასთან თანამშრომლობით ჩაატარა ტრენინგები:

- ❖ საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილეობის მსურველი პოტენციური კანდიდატი ქალებისთვის ორგანიზებულ ტრენინგზე განხილული იქნა შემდეგი საკითხები: მაჟორიტარ კანდიდატთა წარდგენის/რეგისტრაციის წესი, საარჩევნო კამპანიის ხარჯები, ანგარიშის წარდგენის წესი, ადმინისტრაციული რესურსები და საარჩევნო დავები. სულ მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა პოლიტიკური პარტიისა და საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილმა 53-მა პოტენციურმა კანდიდატმა ქალმა.
- ❖ პოლიტიკური პარტიების ლიდერ ქალთა პროგრამის ფარგლებში, ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) ორგანიზებით გამართულ ტრენინგზე ცესკოს სწავლების ცენტრმა მონაწილეებს გააცნო მოდული „არჩევნებში კანდიდატთა რეგისტრაციის წესი და პირობები“. ტრენინგში მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის 46-მა წარმომადგენელმა ქალმა.

[25]იხ. ინფორმაცია ვებგვერდზე: http://www.moc.gov.ge/ka/zrunva-qalebze

- საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისთვის, ცესკომ უზრუნველყო პოლიტიკური გაერთიანებების წარმომადგენლებთან მაჟორიტარული საარჩევნო ოლქებისა და ძირითადი და დამხმარე საოლქო საარჩევნო კომისიების უფლებამოსილებების შესახებ ტრენინგების ჩატარება. სულ ტრენინგი გაიარა 405-მა მონაწილემ, მათ შორის 201 - ქალი და 204 - კაცი. ტრენინგები საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI) პროგრამის ფარგლებში ჩატარდა.
- ,,საარჩევნო განვითარების სკოლა 2016"[26] სასწავლო პროგრამა, რომელიც მოიცავს მოდულს „გენდერი და არჩევნები" განხორციელდა 20 მუნიციპალიტეტში. პროგრამაში სულ მონაწილეობა მიიღო 453-მა ახალგაზრდამ, მათ შორის ქალთა რაოდენობა იყო298 (65.78%). პროექტი ცესკომ და სწავლების ცენტრმა, ევროპის საბჭოს და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) მხარდაჭერით განახორციელა.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ განხორციელებული აქტივობები:

- ახალციხის მუნიციპალიტეტში ჩატარდა ტრენინგი თემაზე – „ქალთა უფლებები და ჩართულობა", რომელსაც მხარდაჭერას უწევდა საქართველოში მოქმედი მშვიდობის ფონდი;
- გაიმართა საინფორმაციო შეხვედრები ქვემო ქართლისა და კახეთის რეგიონებში. შეხვედრებზე განიხილეს სხვადასხვა საკითხი და მათ შორის გენდერული თანასწორობის თემატიკაც.

[26] იხ. ინფორმაცია ვებგვერდზე: http://electionreforms.ge/geo/list/show/1777-proeqt-saarchevno-ganvitarebis-skolis-shemadjamebeli-shekhvedra

- გაიმართა შეხვედრები გარდაბნის ადგილობრივ პედაგოგებთან, სადაც იმსჯელეს ქალთა პოლიტიკაში მონაწილეობის საკითხებზე.

5. ჩატარებული კვლევები

დემოკრატიის საფუძველი კონკრეტული ადამიანებისა თუ ადამიანთა ჯგუფების საჭიროებების, დამოკიდებულებების, ღირებულებების აღიარება და გათვალისწინებაა. კვლევა არსებული ვითარების შეფასების, საჭიროებების იდენტიფიცირებისა და პრობლემების აღწერის საშუალებას იძლევა, ამასთან, ადგენს პრობლემების შესაძლო გადაჭრის გზებს. ნებისმიერ სფეროში ეფექტიანი პოლიტიკის განხორციელებას მნიშნელოვანია, წინ უძღოდეს სიტუაციის შესწავლა და ანალიზი. სწორედ ამ მიზნიდან გამომდინარე, „საქართველოში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2014–2016 წლების სამოქმედო გეგმაში“ გათვალისწინებულია კვლევების, გენდერული ანალიზის ჩატარება სხვადასხვა მიმართულებით.

2016 წელს არასამთავრობო ორგანიზაციამ „ქალთა საინფორმაციო ცენტრმა“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით განახორციელა სამინისტროს გენდერული შეფასება[27]. დოკუმენტში წარმოდგენილია აღნიშნულ უწყებასა და მის საქმიანობაში გენდერული ასპექტების გათვალისწინებასთან დაკავშირებული რეკომენდაციები.

6. ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები

[27] ამ ეტაპზე დოკუმენტი არ არის ხელმისაწვდომი

საზოგადოების ცნობიერების ამაღლება გენდერული თანასწორობის საკითხებზე გენდერული პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტია. საზოგადოების შეხედულებებისა და დამოკიდებულებების ჩამოყალიბებაში, ცნობიერების დონის ამაღლებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს მასმედია. შესაბამისად, გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის მიზნით მედია საშუალებების გამოყენება გეგმის ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტია.

2016 წელს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა სხვადასხვა ფორმატისა თუ საინფორმაციო გადაცემის საშუალებით გააშუქა გენდერული თანასწორობის საკითხები: „მოამბე“ მუდმივად აშუქებდა გენდერულ საკითხებს და მასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს.

გადაცემებში - „რეალური სივრცე“, „კომუნიკატორი“, „ინტერview“, „ფერმა“, „სამოთხის ვაშლები“ და „ეკონომეტრი“ - რამდენჯერმე გაშუქდა გენდერული თემატიკა; გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომზადებულია რგოლები და რადიო გადაცემები (გეგმა: 2.6., 4.3). შეიძლება ითქვას, რომ 2016 წელს გენდერული პრობლემატიკა ინტენსიურად შუქდებოდა საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ[28].

საზოგადოებრივი რადიოც 2016 წლის განმავლობაში აქტიურად აშუქებდა გენდერული თანასწორობის საკითხებს. მათ შორის გვინდა აღვნიშნოთ რამდენიმე გადაცემა, ხოლო დანარჩენი იხილეთ დანართში #2. საზოგადოებრივი რადიოს/რადიო 1-ის ეთერით, 1 აგვისტოდან 10 დეკემბრამდე გადიოდა გადაიცა ყოველკვირეული რადიო თოქ-შოუ „ქალი და პოლიტიკა“, რომელიც მომზადდა ორგანიზაცია - „საზოგადოებრივ ინიციატივის“ მიერ და მას მხარდაჭერას უწევდა საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდი (IFES) და აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID) . ასევე, გადაცემაში - „თქვენი უფლებები“ გაშუქდა თემები:

[28] დეტალური ინფორმაცია იხილეთ დანართში #2

პატიმარ ქალთა უფლებები საქართველოში, ოჯახური ძალადობა, ქალთა თავშესაფრები საქართველოში და სხვა.

საზოგადოებრივი ვებ-გვერდისათვის დაიწერა სტატიები სხვადასხვა თემაზე. მაგალითად: „სახალხო დამცველი - 10 თვის მონაცემებით, ოჯახში ძალადობის პირობებში 13 ქალია მოკლული“, „საზოგადოებრივად აქტიური ქართველი ქალები - ხმა მიეცი შენს რჩეულს“, „საქართველოში მამები ანაზღაურებად დეკრეტულ შვებულებაში ვერ გადიან - ინფოგრაფიკა“ და სხვა.

7. გენდერული სტატისტიკა

გენდერული სტატისტიკა გულისხმობს სტატისტიკას ქალისა და კაცის მდგომარეობის შესახებ საზოგადოებრივი და ეკონომიკური საქმიანობის ყველა სფეროში. ის წარმოადგენს გენდერული მეინსტრიმინგის ერთ–ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს, რომელიც ეფექტიანი გენდერული პოლიტიკის საშუალებას იძლევა.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური ორ წელიწადში ერთხელ გამოსცემს კრებულს „ქალი და კაცი საქართველოში“ [29]. კრებულში მოცემული სტატისტიკური მონაცემები ასახავს ძირითად ტენდეციებს საქართველოში, რომელიც მნიშვნელოვანია გენდერული სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებისა და საზოგადოების ინფორმირებულობის დონის ამაღლებისათვის. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გეგმის 1.7.1 პუნქტის შესაბამისად განახლდა მონაცემთა მთლიანი ბაზა და დაემატა ცხრილი – ქალი პოლიციის ოფიცრების წილი მთლიან რაოდენობაში. 2016 წლის ბოლოს დაიწყო მუშაობა კრებულზე „ქალი და კაცი საქართველოში –2017“, რომელშიც აისახება 2016 წლის გენდერული სტატისტიკა.

[29] იხ. კრებული ვებგვერდზე:
http://www.geostat.ge/index.php?action=wnews_archive1&qy=1&qy1=21&lang=geo

ცესკომ 2016 წლის 8 ოქტომბრის შუალედური ადგილობრივი საპარლამენტო არჩევნებისათვის მოამზადა ამომრჩეველთა გენდერული სტატისტიკა რომლის მიხედვით – პირველი ტურისთვის რეგისტრირებული 3 513 884 ამომრჩევლიდან კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 1 825 054-მა ამომრჩეველმა (51.94%). მათ შორის ქალთა რაოდენობა იყო 932 576 (51.10%), ხოლო კაცების – 892 478 (48.90%). რაც შეეხება არჩევნების მეორე ტურს, ამომრჩეველთა ერთიან სიაში რეგისტრირებული იყო 2 421 455 ამომრჩეველი, კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 908 401 ამომრჩეველმა (37.51%). მათ შორის ქალი იყო 450 851 (49.63%), კაცი – 457 550 (50.37%). ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ 2016 წელს ცესკოს განახლებულ ვებგვერდზე [30] შეიქმნა ბანერი „გენდერული ბალანსი“, სადაც განთავსდა გენდერულ ჭრილში დამუშავებული ინფორმაცია 2014-2016 წლებში ჩატარებული ყველა არჩევნებისთვის.

უნდა აღინიშნოს, რომ ყველა უწყება, რომელიც ჩართულია „საქართველოში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2014–2016 წლების სამოქმედო გეგმის“ განხორცილებაში, აწარმოებს თანამშრომელთა გენდერულ სტატისტიკას და ყველა განხორციელებულ ღონისძიებაში აღრიცხავს მონაწილე ქ/კ-ის რაოდენობას. აღნიშნული ინფორმაცია განთავსებულია მათ ოფიციალურ ვებ-გვერდებზე. ამავე წელს ცესკომ ევროსაბჭოს ფინანსური მხარდაჭერით დაბეჭდა „არჩევნების გენდერული სტატისტიკის კატალოგი“, რომელიც მნიშვნელოვანი რესურსია საარჩევნო პროცესში ჩართული ყველა მხარისთვის.

აქვე გვინდა ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო კადრების შერჩევისას ითვალისწინებს ანტიდისკრიმინაციული და გენდერული თანასწორობის პრინციპებს. სამინისტროს მიერ გამოცხადებულ ყველა ვაკანსიაში ასახულია შემდეგი ტექსტი: „შერჩევის პროცესში მონაწილე ყველა

[30]იხ. ინფორმაცია ვებგვერდზე: www.cec.gov.ge

კანდიდატი თანასწორია, განურჩევლად რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა სახის შეხედულებების, ეროვნული თუ სოციალური წარმომავლობის, ქონებრივი, წოდებრივი თუ სხვა მდგომარეობისა ...“ (გეგმა: 1.6.3).

IV. იდენტიფიცირებული პრობლემები და ზოგადი რეკომენდაციები

1. პრობლემები

„საქართველოში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2014–2016 წლების სამოქმედო გეგმის” შესრულება დასრულდა. გეგმის ყოველწლიური ანგარიშებიდან ჩანს, რომ ქვეყნის მთავრობა ცდილობს გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელებას, თუმცა ნაკისრი ვალდებულებების შესრულება ნელი ტემპით მიმდინარეობს. ქვეყანაში გენდერული თანასწორობის დამკვიდრებასა და ქალთა უფლებების დაცვას სხვადასხვა ფაქტორი უშლის ხელს. მათ შორისაა: საზოგადოების დამოკიდებულება და მოქმედი გენდერული სტერეოტიპები, გენდერული თანასწორობის მნიშვნელობის გააზრება, გენდერული საკითხების არასაკმარისი ცოდნა, ნაკლებად ეფექტიანი საკანონმდებლო ბაზა, არარეალისტური გეგმების დასახვა, ქვეყნის მთავრობის არასაკმარისი ნება და ა.შ.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მთავრობა, რომელიც 1998 წლიდან იღებს გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმებს, ყოველთვის აწყდება გეგმაში გაწერილი ღონისძიებების განხორციელებასთან დაკავშირებულ პრობლემებს. ხშირად შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა, რომელიც გულისხმობს ადამიანურ და ფინანსურ რესურსებს, არარეალისტურია და ბევრი ღონისძიება განუხორციელებელი რჩება. წინამდებარე ნაშრომში განხილული გეგმის გარკვეული ნაწილიც შეუსრულებელი დარჩა, მაგალითისთვის რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხს მოვიყვანთ. 2014-2016 წლების განმავლობაში უნდა შექმნილიყო უწყებათაშორისი კომისია *(გეგმა:1.3.1)*, რომელზეც მთავრობამ ზრუნვა მხოლოდ 2016 წელს დაიწყო.

ასეთი დაგვიანებული ნაბიჯები კი ხელს უშლის ეფექტიანი პოლიტიკის განხორციელებას და შესაბამისად, გენდერული თანასწორობის კუთხით ცვლილებები ნელა მიმდინარეობს.

ვერ მოხერხდა, ასევე, ყველა უწყებაში გენდერული აუდიტის ჩატარება *(გეგმა: 1.3.7)*, რაც იძლევა ორგანიზაციის შესაძლებლობებისა და გენდერული საჭიროებების გაანალიზების საშუალებას. გენდერული აუდიტის საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციები კი აუცილებელია კონკრეტულ უწყებაში გენდერული პოლიტიკის წარმატებით განხორციელებისათვის.

ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ განათლების სფეროში არსებული პრობლემა, რომელიც გენდერულ დისბალანსს ეხება მამაკაცების კუთხით. საქართველოში სკოლის პედაგოგთა დაახლოებით 80% ქალია, რაც მნიშვნელოვნად უარყოფითად აისახება ბავშვების აღზრდაზე. სკოლა, რომელიც ბავშვის განვითარებისა და მისი პიროვნული ჩამოყალიბებისათვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია ადგილია, დაცლილია მამაკაცებისაგან. გეგმაში ასახული ღონისძიება *(გეგმა: 2.2.1.)*, რომელიც ჯერ სიტუაციის შესწავლას ეხებოდა და მის საფუძველზე საკადრო პოლიტიკის შემუშავებას, ვერ განხორციელდა.

არ შესრულებულა, ასევე, გენდერულ ბიუჯეტთან დაკავშირებული პუნქტები, რომლის მიხედვითაც უნდა მომხდარიყო გენდერული ასპექტების გათვალიწინება სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტებში *(გეგმა: 1.5)*.

უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტში ზოგიერთი მხარჯავი დაწესებულების/სამინისტროს მიერ წარმოდგენილ იქნა პროგრამების გენდერულ ასპექტში შეფასების ცალკეული ინდიკატორები[31]. 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის ანალიზის საფუძველზე კიდევ ერთხელ

[31] საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მოსაზრებები „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“, საქართველოს კანონის პროექტში გენდერული თანასწორობის ასპექტების გათვალისწინების შესახებ, 2015/ www.parliament.ge

გამოვლინდა, რომ მიზანშეწონილია, სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამული დაგეგმვის ეტაპზე ყურადღება გამახვილდეს გენდერულად სენსიტიური პროგრამების იდენტიფიცირებასა და აღნიშნული პროგრამების შეფასების ინდიკატორებში გენდერული ასპექტების გათვალისწინებაზე. გენდერული ბიუჯეტირება გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების აუცილებელი მექანიზმია, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფო რესურსების თანაბრად განაწილებას.

უნდა აღინიშნოს, რომ გეგმის განხორციელებაში ჩართულმა უწყებებმა ბოლომდე ვერ მოახერხეს თავიანთ კონკრეტულ სფეროში გენდერული საჭიროებების ადეკვატური იდენტიფიცირება. რეალური საჭიროებების იდენტიფიცირება წინასწარი კვლევასა და მისი შედეგების ანალიზს მოითხოვს, რაც ხშირად არასაკმარისი ფინანსური რესურსების გამო ვერ ხორციელდება.

უნდა ითქვას, რომ უფრო მეტად განხორციელდა ის აქტივობები, რომელსაც მხადაჭერას უწევდნენ საერთაშორისო თუ ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები. კვლევაში მონაწილე რესპონდენტთა უმრავლესობამაც აღნიშნა, რომ ზოგიერთი აქტივობა ვერ განხორციელდა სწორედ ფინანსური რესუსრების არქონის გამო, რისთვისაც მათ დონორების მხარდაჭერა ესაჭიროებოდათ. გარდა ამისა, რესპონდენტები თვლიან, რომ მათ მიერ გაწეული საქმიანობას არა აქვს ინტენსიური და კოორდინირებული ხასიათი. უწყებებში ხშირად იცვლებიან კადრები, შესაბამისად ის ადამიანები, რომლებიც უწყებაში გენდერულ პოლიტიკაზე არიან პასუხისმგებლები. გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ სამი წლის განმავლობაში ბევრ უწყებაში რამდენჯერმე შეიცვალა გენდერულ თანასწორობაზე პასუხისმგებელი პირი, რომელსაც სულ თავიდან უწევდა საკითხში გარკვევა, გარდა ამისა, ხშირ შემთხვევაში ესენი არიან ადამიანები, რომლებიც ნაკლებად არიან გენდერული თანასწორობის საკითხებში გაცნობიერებული და ჯერ საკითხის შესწავლას იწყებენ. რესპონდენტები თვლიან, რომ ქვეყანაში ეფექტიანი გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორცილებისათვის და რეალისტური გეგმის შემუშავებისათვის მნიშვნელოვანია,

რომ სანამ გეგმის დაწერა დაიწყება ყველა უწყებამ კარგად უნდა გაიაზროს საკუთარი შესაძლებლობები, რესურსები, პრიორიტეტები და შესაბამისად წარადგინოს განსახორციელებელ აქტივობათა ნუსხა.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ გენდერული თანასწორობის ეფექტიანი პოლიტიკის განხორცილების რამდენიმე ძირითადი ხელისშემშლელი ფაქტორი არსებობს, როგორიცაა:

- გეგმაში გაწერილი ღონისძიებების განხორციელებისათვის არასაკმარისი ადამიანური და ფინანსური რესურსები.
- გეგმის შემუშავებასა და განხორციელებაში ჩართული უწყებების მხრიდან საკითხის მნიშვნელობის არასათანადო აღქმა.
- უწყებებში გენდერის საკითხებზე პასუხისმგებელი პირის საშტატო ერთეულის არარსებობა.
- უწყებებს შიგნით და უწყებებს შორის არაკოორდინირებული მუშაობა, ინფორმაციის ნაკლებად გაზიარება.

2. რეკომენდაციები

ქვეყანაში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა ყველა სფეროსა და ყველა დონეზე დამოკიდებულია ეფექტიან სახელმწიფო პოლიტიკაზე, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია „საქართველოში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2014–2016 წლების სამოქმედო გეგმა“. გეგმის განხორციელებისათვის მნიშვნელოვანია შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინება:

- **უწყებებში გენდერული თანასწორობის მექანიზმების ინსტიტუციონალიზაცია** – მნიშვნელოვანია, რომ უწყებაში არსებობდეს კონკრეტული თანამშრომელი, რომელიც დაკავებული იქნება მხოლოდ გენდერული საკითხებით, შესაბამისად, ანგარიშვალდებული იქნება

საკუთარი უწყებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების წინაშე. იგი უნდა ფლობდეს ცოდნას გენდერული თანასწორობის კონცეფციის შესახებ და ინფორმაციას ქვეყანაში არსებული პოლიტიკისა და მასთან დაკავშირებული მიმდინარე მოვლენების შესახებ. ასევე, პასუხისმგებელი უნდა იყოს უწყებაში გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმის შემუშავებასთან დაკავშირებულ მოსამზადებელ საკითხებზე, შიდა სტრატეგიული დოკუმენტის შექმნაზე და შემდგომში მის განხორცილებაზე. გეგმის განხორცილების პროცესში ეს იქნება დამხმარე დოკუმენტი და გარდა ამისა, ასახული იქნება გენდერული თანასწორობის პოლიტიკასთან დაკავშირებული ის პრიორიტეტები, რომელსაც თითოეული უწყება კონკრეტული პერიოდისათვის განსაზღვრავს.

- **გეგმის განხორციელების ეფექტიანობის ხელშეწყობა** – გეგმის განხორციელების პროცესში მეტი ფინანსური და ადამიანური რესურსის მობილიზება, რათა დაგეგმილი აქტივობები არ დარჩეს შეუსრულებელი და გეგმა იყოს რეალისტური, მათ შორის თანამშრომელთა პროფესიული გადამზადება
- **უწყებებს შორის და სხვა დაინტერესებულ პირებთან/ჯგუფებთან თანამშრომლობის გაძლიერება** – ინტენსიური შეხვედრების ორგანიზება, ინფორმაციის გაცვლა–გამოცვლა. გენდერული თანასწორობის პოლიტიკის ეფექტიანი განხორცილებისათვის, გეგმის შესრულებაში ჩართული უწყებები აქტიურად უნდა თანამშრომლობდნენ, როგორც სხვა უწყებებთან, ასევე დაინტერესებულ პირებთან თუ ექსპერტებთან. მნიშვნელოვანია, გეგმის შესრულების პროცესში უწყებების წარმომადგენლები გაეცნონ ინფორმაციას, მოისმინონ ანგარიში, თუ რომელმა უწყება რა აქტივობა განახორციელა და რა ეტაპზეა; გარდა ამისა, საჭიროების შემთხვევაში გაიარონ კონსულტაციები, მიიღონ

რეკომენდაციები გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებისგან/პირებისგან.

- **უწყებების შიგნით გენდერულ საკითხებზე თანამშრომლობის ხელშეწყობა** – უწყებების თანამშრომელთა ინფორმირება და მათი ჩართვა გენდერული თანასწორობასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელების პროცესში; მათი ცოდნის დონის ამაღლება გენდერული თანასწორობის საკითხებზე.
- **გენდერული თანასწორობის პოლიტიკის ეფექტიანი განხორციელებისათვის** მნიშვნელოვანია, ამ თემასთან დაკავშირებული სამოქმედო გეგმების ერთმანეთთან ჰარმონიზაცია, რაც ხელს შეუწყობს მის შესრულებაზე კოორდინირებულ მუშაობას და გააადვილებს ანგარიშგებას სხვა უწყებებთან, რომლებიც ჩართულები არიან გეგმების განხორცილებაში. ეს კი გამორიცხავს ანალოგიური აქტივობების, ღონისძიებების ჩატარებას და შესაბამისად, დაიზოგება როგორც ფინანსური, ასევე ადამიანური რესურსები.

- „საქართველოში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2014–2016 წლების სამოქმედო გეგმის“ დარჩენილი საქმიანობების შესრულების აუცილებლობა ყველა უწყების მიერ, გეგმის მიხედვით ვისაც კი აქვს ვალდებულება დაკისრებული. შესრულების ვადად განისაზღვროს 2017 წელი.

დანართი N 1

მინი 50,000 ლარამდე გრანტები

#	ბენეფიციარი	პროექტი
1	მარიამ ჩუბინიშვილი	ახალი ბიოპესტიციდის "Geo-nema" სტარტაპის შექმნა. ენტომოპათოგენური ნემატოდას, steinenema feltiae "ქართული შტამის" საფუძველზე მავნე მწერებისაგან მცენარეთა ბიოლოგიური კონტროლისთვის.
2	მაია ბაქრაძე	ინოვაციური სამღებრო მოწყობილობის დაპროექტება-დამზადება, ბუნებრივი საღებავებით ინოვაციური ღებვის საწარმოო ტექნოლოგიების შემუშავება და საბოლოო პროდუქტის წარმოება ძაფის, ქსოვილის-ტექსტილი, სამოსისა და აქსესუარების სახით
3	ნანა ჯაფარიძე	ქართველ მომხმარებელზე მორგებული მიკროკომპიუტერის შექმნა
4	გულნარა ვერულიძე	ინფრაწითელი ლაზერი მცენარეთა ზრდის ინტენსიფიცირებისთვის in vitro სისტემაში

მიკრო (5,000 ლარამდე) გრანტები

#	ბენეფიციარი	გრანტის ტიპი	პროექტი
1	ნინა ხუჭუა	სამოგზაურო	ახალ ორლეანში მოკლევადიანი სამოგზაურო გრანტი
2	ნატალია მუმლაძე	სამოგზაურო	ქ. ჰამბურგში WANIFRA საერთაშორისო გამოფენაზე მონაწილეობის მისაღებად
3	თეონა დალაქიშვილი	ღონისძიება	საქართველოში გასამართი ღონისძიება - ედუჰაკი
4	სოფიო გაჩეჩილაძე	სამოგზაურო	21-25 ივნისს კალიფორნიაში (აშშ) ,,ინოვაციების გლობალური სამიტი"
5	4 მონაწილე	პროტოტიპი	პროექტი - ,,ინოვაცია არქიტექტურაში
6	ოლღა არველაძე	სამოგზაურო	4-9 ივლისს, ქ. კიევში (უკრაინის რესპუბლიკა) პროგრამირების საერთაშორისო ოლიმპიადა
7	ტასო ჯაფარიძე	პროტოტიპი	პროექტი ,,გუსტავისთვის" პროტოტიპის დამზადება (სამრეცხაოს ადგილზე მომსახურება)
8	თეა კობახიძე	პროტოტიპი	პროექტი ,,Cloth2me" (მეორადი ტანსაცმლის ონლაინ მაღაზიისთვის ვებ დეველოპმენტი)
9	მარიამ პისარევი	სამოგზაურო	18-22 სექტემბერს ქ. ბარსელონაში (ესპანეთი) საერთაშორისო ატრაქციონების და თემატური პარკების ექსპო
10	თეა მხეიძე	პროტოტიპი	,,ეთნო კარაოკე" ვებ და მობილური აპლიკაციის პროტოტიპის შექმნა
11	თამთა გველესიანი	პროტოტიპი	მობილური აპლიკაცია ანდროიდ და IOS პლატფორმებზე, გაფართოებულ რეალობაში რესტორნების მენიუს სანახავად
12	რუსუდან პირველი	პროტოტიპი	filmfestival.ge ვებგვერდის პროტოტიპი, ქართული კინოს პირველი ფასიანი ვებ-პორტალი
13	თამარ თელია	ღონისძიება	ჯანქთონი _ კავკასიის უნივერსიტეტში
14	ანა შუბლაძე	ღონისძიება	1-8 იანვარს მესეჩუსეთის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში გლობალური ინჟინერიის აკადემიის ერთკვირიან სემინარში მონაწილეობა
ჯამში: 17 ბენეფიციარი; 5-სამოგზაურო; ღონისძიება- 3; პროტოტიპი -9.			

სტარტაპ საქართველო (2016)

#	ბენეფიციარი	პროექტი
1	მარიამ რუსიშვილი	**შპს „ქუიქ ქეში“** ფინანსური შეფასების ინოვაციური პლატფორმა მცირე და საშუალო ბიზნესისათვის
2	ქეთევან ჩხიკვიშვილი	**შპს „ბაბლსთექ“** სრულად ავტომატიზირებული, ვებ-ინტეგრირებული ჰიდროპონიკული სისტემა
3	მირანდა ხერხეულიძე	**შპს „ოარი“** ეს არის რეალობასთან მაქსიმალურად მიახლოებული ვირტუალური სიმულატორი, რომელიც სამედიცინო სტუდენტებს ეხმარება პრაქტიკულად შეასრულონ ურთულესი ქირურგიული ოპერაციები მინიმალური დანახარჯებითა და ზიანით
4	ლილე მაღლაფერიძე	**შპს „ვაიზკეთლი“** ელექტრო ჩაიდანი, რომელსაც ექნება გაგრილების ფუნქცია. ჩაიდანში ჩაშენებულია გარკვეული ელემენტები, რომელიც უზრუნველყოფს გაციებას, როდესაც მოწყობილობა დაკავშირებულია დენის წყაროსთან

დანართი N 2

საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ განხორციელებული ღონისძიებები

2016

პირველი არხის საინფორმაციო პროგრამა **„მოამბე“** და სხვა გადაცემები პერმანენტულად გადასცემდნენ ეთერში ინფორმაციას ქალთა საკითხების შესახებ, გენდერული თანასწორობის თემასთან დაკავშირებულ სიახლეებს და აქტივობებს. ვიდეომასალის სანახავად იხ. საზოგადოებრივი მაუწყებლის ვებ გვერდი: www.public.ge

საინფორმაციო გადაცემაში **„მოამბე“** გაშუქებული თემები:

- არასამთავრობო სექტორი ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პრევენციის შესახებ კონვენციის რატიფიცირებას ითხოვს;
- ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ გამართულ სპექტაკლს მარჯანიშვილის თეატრმა უმასპინძლა;
- ტრანსგენდერ ქალს ორი პირი თავს დაესხა და ფიზიკურად გაუსწორდა; ძალადობა ოჯახში და ქალთა მიმართ – სახალხო დამცველის აპარატისა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის კვლევა;
- „შვიდი“ - დოკუმენტური სპექტაკლი ქალზე ძალადობის წინააღმდეგ; ტრანსგენდერი ქალი, რომელსაც 14 ოქტომბერს სასტიკად გაუსწორდნენ, გარდაიცვალა - გადაკვალიფიცირდება თუ არა საქმე;
- გადაკვალიფიცირდება თუ არა ტრანსგენდერი ქალის ცემის ფაქტზე აღძრული სისხლის სამართლის საქმე;
- ტრანსგენდერი ქალი, რომელსაც 14 ოქტომბერს ფიზიკურად გაუსწორდნენ, გარდაიცვალა;
- ტრანსგენდერთა ხსოვნის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ქუთაისში აქცია გაიმართა;
- ოჯახში ძალადობის აღვეთის ღონისძიებათა განმახორციელებელი უწყებათაშორისი საბჭოს სხდომა გაიმართა;
- რა ქმედითი ნაბიჯების გადადგმას გეგმავს ომბუდსმენის აპარატი გოგონების წინდაცვეთის ფაქტების წინააღმდეგ - ეკა სხილაძე "მოამბეში";
- „ქორწინება“ საბავშვო ბაღში - ომბუდსმენი ბაღების სააგენტოს რეაგირებისკენ მოუწოდებს;
- რატომ ეზღუდებათ საქართველოში მამებს ანაზღაურებადი დეკრეტული შვებულებით სარგებლობის უფლება;
- რატომ იზღუდება მამებისთვის აზღაურებადი შვებულების უფლება - EMC-ს ადვოკატმა „მოამბის"კითხვებს უპასუხა;
- რამდენად დაცულია გენდერ-სპეციფიკური საჭიროებები მართლმსაჯულების სისტემაში;
- ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე რეაგირებასა და გამოძიებაზე სასწავლო კურსი ჩატარდა;
- ოჯახში ძალადობის შემთხვევა ბათუმში;

- ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ახალი კამპანია იწყება;
- როგორია ოჯახში ძალადობის სტატისტიკა;
- „გაეროს მოსახლეობის ფონდი" გოგონათა პრობლემების შესახებ, 2016 წლის ანგარიშს აქვეყნებს;
- ტრანსგენდერი ქალზე თავდამსხმელი სასჯელაღსრულების დაწესებულებაში გადაიყვანეს;
- ტრანსგენდერის მკვლელობის მცდელობაში ბრალდებულს წინასწარი პატიმრობა შეეფარდა;
- ტრანსგენდერი ქალის ცემის ფაქტზე, სასამართლო პროცესი დღეს გაიმართება; ტრანსგენდერ ქალზე თავდასხმაში ბრალდებული დაკავებულია;
- ორთაჭალაში დაჭრილი ტრანსგენდერი ქალის ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა;
- შემზარავია მოძალადე, რომელიც ადამიანზე ძალადობს, მხოლოდ იმის გამო, რომ იგი მისგან განსხვავებულია;
- როგორ ცხოვრობენ ქალები სოფლად და რა როლი აქვთ მათ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში;
- თავდასხმის შედეგად დაშავებული ტრანსგენდერი ქალის ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა;
- ტრანსგედერზე თავდასხმის ფაქტს ადასტურებს - თავდასხმაში მონაწილე პირი იდენტიფიცირებულია;
- თავდასხმა ორთაჭალაში - დაზარალებული ტრანსგენდერია;
- ნაადრევი ქორწინება - გოგონების ერთ-ერთ მთვარ პრობლემაზე გაერო ვრცელ ანგარიშს აქვეყნებს;
- 11 ოქტომბერი გოგონათა საერთაშორისო დღეა;
- ქუთაისში ახალგაზრდა ქალი საკუთარმა ქმარმა დაჭრა;
- ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა მოახლოებულ არჩევნებში, როგორ იცვლება ტენდენცია არჩევნებიდან არჩევნებამდე;
- საჯარო დისკუსია ქალების პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართულობის შესახებ;
- ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა პირველი კრიზისული ცენტრი თბილისში;
- დაკავება ოჯახური დანაშაულის ნიადაგზე ჩადენილი განზრახ მკვლელობის ბრალდებით;
- ქორწინების დეფინიცია;
- ოჯახის დეფინიცია - ოპოზიციის წარმომადგენელთა შეფასებები;
- საქართველოს მთავრობა, ქორწინების წესის განსაზღვრის რეფერენდუმზე უართან დაკავშირებით, პრეზიდენტის არგუმენტაციას არ ეთანხმება;
- ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ მიმართული აქცია პერუში;
- ქორწინების დეფინიცია - გაჩნდება თუ არა ქვეყნის უზენაეს კანონში ახალი ჩანაწერი, საინიციატივო ჯგუფი პრეზიდენტის გადაწყვეტილებას ელოდება;
- ქორწინების დეფინიციის შესახებ რეფერენდუმის გამართვის საკითხი - შეფასებები;
- ქორწინების დეფინიცია - თუ პრეზიდენტი რეფერენდუმის ჩატარებაზე უარს იტყვის, საინიციატივო ჯგუფის წვერები აქციებით იმუქრებიან;
- ქორწინების დეფინიცია - რეფერენდუმის ჩატარებასთან დაკავშირებით პრეზიდენტი საინიციატივო ჯგუფის წევრებს შეხვდება;
- დაინიშნება თუ არა რეფერენდუმი ქორწინების დეფინიციის შესახებ - აზრთა სხვადასხვაობა პოლიტიკურ ძალებში;

- რა გადაწყვეტილებას მიიღებს პრეზიდენტი ქორწინების საკითხზე რეფერენდუმთან დაკავშირებით;
- ქორწინებასთან დაკავშირებით რეფერენდუმის დანიშვნის საკითხი - განსხვავებული შეფასებები;
- ქორწინების თემაზე რეფერენდუმის საკითხებზე მომუშავე საინიციატივო ჯგუფის განცხადება;
- ქორწინებასთან დაკავშირებით სარეფერენდუმო საკითხზე მომუშავე საინიციატივო ჯგუფი პრეზიდენტის მიმართ განხორციელებულ ზეწოლაზე საუბრობს;
- ქორწინებასთან დაკავშირებით რეფერენდუმის ჩატარების საკითხი - საინიციატივო ჯგუფის მოთხოვნა ცესკომ დაარეგისტრირა და დასკვნა პრეზიდენტს გადაუგზავნა;
- უფლებადამცველები არასრულწლოვან ორსულ გოგონაზე განხორციელებული სექსუალური ძალადობის ფაქტზე საუბრობენ;
- „ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელი“ არასრულწლოვან დედებსა და ფეხმძიმეებზე გახშირებულ ძალადობის შემთხვევებზე საუბრობს;
- ოჯახში ძალადობის პრევენცია - რა რეკომენდაციებით გამოდის „ადამიანის უფლებათა ცენტრი“;
- ,,ქალთა მოძრაობა" შინაგან საქმეთა მინისტრს ღია წერილით მიმართავს;
- დედათა და ბავშვთა საკითხების შესახებ ზუგდიდში სპეციალური შეხვედრა იმართება;
- ოჯახური ძალადობის კიდევ ერთი შემთხვევა - რას ითხოვენ უფლებადამცველები და რა გეგმა აქვს წულუკიანის უწყებას;
- ოჯახური ძალადობისა და მკვლელობის ფაქტები - რა პრეტენზიები აქვთ სამართალდამცველებთან უფლებადამცველებს;
- ოჯახური ძალადობის კიდევ ერთი შემთხვევა და შემზარავი დანაშაული თეთრიწყაროს რაიონში;
- აქცია ქალებზე ძალადობის წინააღმდეგ - ქართველი მორაგბეები ზუგდიდში მოსწავლეებს შეხვდნენ;
- ქალები მომავლისთვის - გაეროს ეგიდით ბიზნესფორუმი გაიმართა;
- გენდერი და საკუთრების უფლება - საჯარო რეესტრის იურისტმა უპასუხა „მოამბის“ კითხვებს;
- სექსუალურ შევიწროებასთან დაკავშირებული ცვლილებები პარლამენტმა მეორე მოსმენაზე ჩააგდო;
- ”ქალთა პარტია სამართლიანობისა და თანასწორობისთვის” საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას გეგმავს;
- გახდება თუ არა დასჯადი სექსუალური ხასიათის არასასურველი სიტყვიერი და ფიზიკური ქცევა;
- ქალთა ნებაყოფლობით კვოტირება - არჩევნები შესაძლოა კიდევ ერთი საკანონმდებლო ცვლილების ფონზე ჩატარდეს;
- ქორწინების დეფინიცია - რეფერენდუმის ჩატარებისთვის საჭირო ხელმოწერების შეგროვება იწყება;
- რეფერენდუმი ქორწინების დეფინიციასთან დაკავშირებით - ცესკო-მ საკითხი დაარეგისტრირა;
- ოჯახში ძალადობის ბრალდებით ძებნილი პირი დააკავეს;
- ქალთა შრომითი საკითხები - პროფკავშირის ევროპული რეგიონული საბჭოს შეხვედრა გაიმართა;

- ქორწინების შესახებ ჩანაწერი - მწვავე კამათი მოჰყვა საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტის განხილვას პარლამენტში;
- ქორწინების შესახებ ჩანაწერი - პარლამენტში საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტი განიხილეს;
- "ქალი და ხელოვნება ეკონომიკის განვითარებისთვის" - საერთაშორისო კონფერენცია თბილისში;
- „ქალი და ხელოვნება ეკონომიკის განვითარებისთვის“ - 21 მაისს საერთაშორისო კონფერენცია გაიმართება;
- ლგბტ საზოგადოების მხარდამჭერთა სასამართლო პროცესი 10 ივნისამდე გადაიდო;
- დეპუტატის ჰომოფობიური განცხადება და ლგბტ თემის დაკავებული წარმომადგენლები - რა მოხდა საპატრიარქოსთან და რატომ გადაიდო სასამართლო პროცესი;
- ლგბტ საზოგადოება და მათი უფლებების დამცველები ხელისუფლებას მიმართავენ;
- ლგბტ აქტივისტების დაკავება გააპროტესტეს სასტუმრო "რედისონთან";
- ლგბტ საზოგადოების დაკავებული აქტივისტების სასამართლო პროცესი იწყება;
- ლგბტ საზოგადოების დაკავებული წარმომადგენლების სასამართლო პროცესი იწყება;
- ჰომოფობიის საწინააღმდეგო წარწერები საპატრიარქოს მიმდებარე ტერიტორიაზე - გამთენიისას 10 პირი დააკავეს, მათი სასამართლო პროცესი დღეს გაიმართება;
- ჰომოფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღე, ლგბტ თემის წარმომადგენლების გადაწყვეტილებით, თბილისში არ აღინიშნება;
- ჰომოფობიასთან ბრძოლის დღე თბილისში მსვლელობით არ აღინიშნება;
- სახალხო დამცველის ანგარიში - ქვეყანაში ქალებზე ძალადობა კვლავ პრობლემად რჩება;
- კონსტიტუციაში ქორწინების ცნების განსაზღვრის შესახებ სარეფერენდუმო საკითხი ცესკო-მ არ დაარეგისტრირა;
- ქალთა უფლებები სახალხო დამცველის ანგარიშში;
- ქალთა უფლებები და გენდერული თანასწორობა - ომბუდსმენის ანგარიში;
- კონსტიტუციით განსაზღვრული ოჯახის დეფინიცია - საინიციატივო ჯგუფმა, რომელიც რეფერენდუმს ითხოვს, ბრიფინგი გამართა;
- ლგბტ პირთა უფლებები - საქართველოს გაუარესებული მაჩვენებელი საერთაშორისო კვლევაში და შეფასებები თბილისში;
- პარლამენტი ოჯახისა და ქორწინების დეფინიციის საკითხზე საკონსტიტუციო ცვლილებებს პირველი მოსმენით განიხილავს;
- პრეზიდენტმა ოჯახისა და ქორწინების შესახებ ისაუბრა;
- ქორწინების დეფინიცია - საკონსტიტუციო ცვლილებების ხმაურიანი განხილვა ადამიანის უფლებათა კომიტეტში;
- ქორწინების დეფინიცია - საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტის განხილვა პარლამენტში;
- გენდერული ნიშნით ქალთა მკვლელობებზე, შესაძლოა, სასჯელი გამკაცრდეს;
- რას გულისხმობს „რესპუბლიკელების“ ინიციატივა ქალთა მკვლელობის შემთხვევებთან მიმართებით - თამარ ხიდაშელმა უპასუხა „მოამბის“ კითხვებს;
- ქალების მკვლელობის შემთხვევები - ოფიციალური სტატისტიკა და „რესპუბლიკელების“ საკანონმდებლო ინიციატივა;
- გენდერული ნიშნით ქალთა მიმართ ძალადობა, შესაძლოა, მძიმე კატეგორიის დანაშაული გახდეს;

- განისაზღვრება თუ არა კონსტიტუციით ქორწინებისა და ოჯახის ცნებად მამაკაცისა და ქალის ერთობა - პარლამენტი საკომიტეტო განხილვებს იწყებს;
- განისაზღვრება თუ არა კონსტიტუციით ქორწინებისა და ოჯახის ცნებად მამაკაცისა და ქალის ერთობა;
- განისაზღვრება თუ არა კონსტიტუციით ქორწინებისა და ოჯახის ცნება - პარლამენტი საკომიტეტო განხილვებს იწყებს
- განისაზღვრება თუ არა ქორწინებისა და ოჯახის დეფინიციად, ქალისა და მამაკაცის ერთობა - საკითხზე ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტში იმსჯელებენ
- "ლგბტ საქართველოს" ხელმძღვანელი მოქალაქეს ჰომოფობიური მოტივით თავდასხმაში ადანაშაულებს;
- ''ლგბტ საქართველო'' პოლიციას მიმართავს - ორგანიზაციის ხელმძღვანელს ფიზიკურად გაუსწორდნენ;
- ''ლგბტ საქართველოს'' აღმასრულებელ დირექტორს უცხო პირები ფიზიკურად გაუსწორდნენ;
- ფიზიკური ძალადობა საყურის ტარების გამო - არასამთავრობოები საქმის გადაკვალიფიცირებას ითხოვენ;
- ქორწინების განსაზღვრასთან დაკავშირებული რეფერენდუმისთვის კითხვის ფორმულირება დაზუსტებულია;
- ჩატარდება თუ არა რეფერენდუმი კონსტიტუციაში, ქორწინების ცნების განსაზღვრის შესახებ;
- ერთი ქალის ისტორია ცნობილი ფოტოხელოვანის ნამუშევრებში - გურამ წიბახაშვილი გარდაცვლილ დას გამოფენას უძღვნის;
- ქორწინების დეფინიცია - საკონსტიტუციო ცვლილებების განხილვა ამბროლაურში; უმცირესობებისა და ქალთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში - რა ფაქტებზე მიუთითებს სახელმწიფო დეპარტამენტი;
- ქალთა და მამაკაცთა ანაზღაურებას შორის დისბალანსი;
- გენდერულ საკითხებზე მომუშავე არასამთავრობოები ქვეყანაში ქალთა და მამაკაცთა ანაზღაურებას შორის არსებულ დისბალანსზე საუბრობენ;
- ქორწინების შესახებ საკონსტიტუციო ცვლილებების საყოველთაო-სახალხო განხილვები დღეს დასრულდება;
- რომის პაპი ოჯახური ცხოვრების შესახებ ახალ დოკუმენტს წარადგენს;
- დავა ქორწინებასთან დაკავშირებულ საკონსტიტუციო ცვლილებებზე - ჩატარდება თუ არა რეფერენდუმი;
- ჩატარდება თუ არა არჩევნების პარალელურად რეფერენდუმი კონსტიტუციაში ოჯახის ცნების განსაზღვრის საკითხზე;
- ოჯახის დეფინიცია - საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით, შესაძლოა, რეფერენდუმი ჩატარდეს;
- ოჯახის დეფინიცია - საკონსტიტუციო ცვლილებების განხილვა ახალციხეში; არასრულწლოვანთან ქორწინება - შუახევში მცხოვრები 23 წლის ახალგაზრდის მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა;
- ზუგდიდში სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიის წევრებმა ქორწინების დეფინიციაზე ახალი კანონპროექტი განიხილეს;
- ქალთა საინფორმაციო ცენტრმა სამუშაო პროექტი შეაჯამა;

- ქალი და პოლიტიკა, - საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი საქართველოს საკრებულოს წევრ ქალთა კონგრესს მართავს;
- აფრიკაში სექსუალური ძალადობის ფაქტების გამოსაძიებლად გაერო ახალ მისიას აგზავნის;
- უნდა განისაზღვროს თუ არა ქორწინება საკონსტიტუციო დონეზე - რეგიონებში საჯარო განხილვა დაიწყო;
- ნაადრევ ქორწინებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება პანკისში პროტესტის მიზეზი ხდება;
- საქართველოში ქალის ისტორიულ და თანამედროვე როლზე ინფორმაცია აშშ-ის ელჩმა მოისმინა;
- „ქალთა გაძლიერება უკეთესი ადგილობრივი თვითმმართველობისთვის“ - პროექტის შედეგების პრეზენტაცია გაიმართა;
- გენდერული თანასწორობა და ნაბიჯები, რომლებიც ამ მიმართულებით საქართველომ გადადგა - განვლილი წლის შეჯამება;
- კონსტიტუციაში ქორწინებასთან დაკავშირებით დაგეგმილი ცვლილებების განხილვის მიზნით საორგანიზაციო კომისია შეიქმნა;
- ჰომოფობიური განცხადებები პარლამენტში "იდენტობის" მიერ დაგეგმილ აქციასთან დაკავშირებითა;
- "ძლიერი ქალი - ძლიერი სახელმწიფო" - არასამთავრობო ორგანიზაციამ ბრიუსელში შეხვედრები გამართა;
- "ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ" 2013-2015 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში განხორციელებულ კამპანიებზე კვლევა ჩატარდა;
- "ძალადობა ქორწინების სახელით" - იუსტიციის სახლმა ფოტოგამოფენას უმასპინძლა;
- ქორწინების შესახებ მომზადებულ საკონსტიტუციო წინადადებას „რესპუბლიკელების“ წევრი შეუერთდა;
- რამდენად აქტიურად არიან ქალები პოლიტიკაში ჩართული მსოფლიოს მასშტაბით;
- "მეტი ქალი პოლიტიკაში” - არასამთავრობოების აქცია თბილისში;
- ეტლით მოსარგებლე ქალებისთვის გამოფენა მოეწყო;
- ნაადრევი ქორწინება და დარღვეული გენდერული ბალანსი პოლიტიკაში - რას ითხოვენ არასამთავრობოები;
- ქალთა საერთაშორისო დღე და ქალების პრობლემები 21-ე საუკუნის საქართველოში;
- პრობლემები და ინიციატივები, რომლებიც ქალებს აქვთ - ფემინისტები 8 მარტს აქციით შეხვდნენ;
- ქორწინება ქალისა და მამაკაცის ერთობა - საკონსტიტუციო ცვლილების ინიციატივით მმართველი გუნდი პარლამენტს მიმართავს;
- ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები გრძელდება; სტამბოლში ქალთა დღისადმი მიძღვნილი აქცია დაარბიეს;
- „ქალები პოლიციაში“ - საერთაშორისო კონფერენცია თბილისში;
- გაეროს ახალი მოხსენება - სამშვიდობო დანაყოფების მხრიდან 2015 წელს სექსუალური ძალადობის 99 შემთხვევა დაფიქსირდა;
- "ქალები პოლიციაში" - კონფერენცია თბილისში;
- „მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ქალთა შრომითი უფლებების უზრუნველსაყოფად” - 18-თვიანი პროექტი დაიწყო;

- ძალადობის საკითხზე გაერო-ს სპეციალური მომხსენებელი;
- ოჯახში ძალადობის გაზრდილი მაჩვენებელი;
- ოჯახში ძალადობის გაზრდილი სტატისტიკა - დებატები პარლამენტში;
- რატომ უნდა იყოს მეტი ქალი პოლიტიკაში;
- არასამთავრობო სექტორი ქალთა კვოტირებას ითხოვს;
- ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელი
- ქალთა უფლებები და ადრეული ქორწინების პრევენცია - ომბუდსმენის სპეციალური კამპანია ქვემო ქართლში;
- გაერო ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში სამშვიდობოების მიერ სექსუალური ძალადობის შვიდ ახალ შემთხვევაზე საუბრობს;
- შეფასებები სექსუალურ ძალადობაში ქართველი სამხედროების სავარაუდო მონაწილეობასთან დაკავშირებით;
- რა ასაკში ქორწინდებიან საქართველოში - სტატისტიკა და დემოგრაფიული მდგომარეობა;
- „ქალთა საინფორმაციო ცენტრმა“ „ტელებლოგის“ ხელმძღვანელი და „რეალური სივრცის“ წამყვანი დააჯილდოვა;

საზოგადოებრივი მაუწყებლის ვებ გვერდისთვის დაიწერა და განთავსდა 17 სტატია:

- ტრანსგენდერ ქალთა ცენტრი შსს-ს სრულყოფილი გამოძიების ჩატარებისაკენ მოუწოდებს;
- ტრანსგენდერ ქალს ფიზიკურად გაუსწორდნენ - შემთხვევა, გვიან ღამით, თბილისში მოხდა;
- ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით თბილისის ანძა ნარინჯისფრად განათდა;
- სახალხო დამცველი - 10 თვის მონაცემებით, ოჯახში ძალადობის პირობებში 13 ქალია მოკლული;
- ამხილე ძალადობა - კამპანია გენდერული ძალადობის წინააღმდეგ;
- საზოგადოებრივად აქტიური ქართველი ქალები - ხმა მიეცი შენს რჩეულს;
- საქართველოში მამები ანაზღაურებად დეკრეტულ შვებულებაში ვერ გადიან - ინფოგრაფიკა;
- საქართველოში დასაქმებულ მამაკაცთა ხელფასი ქალების ხელფასზე თითქმის ორჯერ მაღალია - ინფოგრაფიკა;
- დეპუტატი ქალები სექსუალური ზეწოლის მსხვერპლნი ხშირად ხდებიან;
- არგენტინელი ქალები, 16 წლის მოზარდის გაუპატიურების გამო გაიფიცნენ - ესპანური შავი ოთხშაბათი;
- ტრანსგენდერი ქალის მდგომარეობა ისევ მძიმეა;
- ტრანსგენდერი ქალის მკვლელობის მცდელობაში ბრალდებული დაკავებულია;
- ტრანსგენდერი ქალი კვლავ მართვით სუნთქვაზეა;
- პროკურატურა ლგბტ თემის წარმომადგენელზე მომხდარ თავდასხმას ეხმიანება;
- ქალი პოლიტიკოსები და მათი საპარლამენტო გეგმები; ქუთაისში ახალგაზრდა ქალი დაჭრეს; ქორწინების დეფინიციის შესახებ რეფერენდუმის ჩატარების საკითხზე პრეზიდენტი საინიციატივო ჯგუფის წევრებს აღარ შეხვდება - რა გახდა გადაწყვეტილების მიზეზი; საუდის არაბეთში ქალებმა ქორწინების მოწმობის ასლის ფლობის უფლება მიიღეს;

გადაცემაში **„ინტერview“** გაშუქებული თემები:

- ქალთა მიმართ ძალადობა - გაუპატიურების და ოჯახში ძალადობის საფრთხე უფრო მაღალია, ვიდრე კიბოს დაავადებით, ავტოავარიებით და ომებით შექმნილი საშიშროება;
- ჰომოფობია და არაჰეტეროსექსუალი თანამოქალაქეების სიძულვილი - რა პერსპექტივები აქვს ლგბტ თემის აქტივიზმს საქართველოში;

გადაცემაში **„ფერმა“** გაშუქებული თემები:

- ვაიოს ველები - მესხი ქალის დაუჯერებელი გამძლეობის ამბავი!;
- წარმატებულ ქალ ფერმერთა კოოპერაცია - პედაგოგების მიერ შექმნილი სასათბურე მეურნეობა ზემო ალვანში;
- კოლხი ქალი, ევროპული განათლება და კივის თანამედროვე პლანტაციები.

გადაცემაში **„კომუნიკატორი“** გაშუქებული თემები:

- ქალები ღვინის ბიზნესში“;
- გენდერული თანასწორობა - მორაგბეები ჯანსაღი ღირებულებებისთვის;
- სქესობრივი აღზრდის მნიშვნელობა - მომხრეები და მოწინააღმდეგეები;

გადაცემაში **„რეალური სივრცე“** გაშუქებული თემები:

- ქალთა კოოპერატივები სოფლებში;
- ლგბტი პირთა სამართლებრივი და სოციალური მდგომარეობა საქართველოში;
- კანონში გენდერული თანასწორობის შესახებ ცვლილებები შედის;
- ქალთა დღე და ქალის როლი;
- მთელი ქონება ვაჟს.

გადაცემაში **„ეკონომეტრი“** გაშუქებული თემები:

- კონფერენცია “ქალის როლი ქვეყნის განვითარებისთვის” გაიმართა თბილისში;
- კონფერენცია „ქალი და ხელოვნება ეკონომიკის განვითარებისთვის“
- ქალის როლი ეკონომიკის ზრდასა და რეფორმების შემუშავებაში - კონფერენცია "ექსპო ჯორჯიაში"

პროექტის **„ტელებლოგი“** მიერ მომზადდა სატელევიზიო ფილმი „სიკვდილის ანგელოზები“.

საზოგადოებრივი რადიო

გადაცემა-„ღია სტუდია“

- ძალადობა ქალებზე
- დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის ხელშეწყობის 2017-2030 წლების ეროვნული სტრატეგია
- მშობიარე დედების და ახალშობილების გარდაცვალების შემთხვევები საქართველოში
- არასრულწლოვანთა ქორწინება
- ქალები საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში

გადაცემა „თქვენი უფლებები“

- პატიმარ ქალთა უფლებები საქართველოში
- ოჯახური ძალადობა
- ქალთა თავშესაფრები საქართველოში

გადაცემა- “მიგრაციის მარშრუტები “

- ქალი ემიგრაციაში
- ქართველი ემიგრანტი ქალები იტალიაში
- ქართველი ქალი საბერძნეთში
- წარმატებული ქალის არჩევანი
- დედის დღე ემიგრაციაში

გადაცემა: „რა სურთ ქალებს“

- შეიძლება თუ არა კაცი იყოს ფემინისტი და რით განისაზღვრება გენდერული როლების განაწილება საზოგადოებაში
- ქართველი ფემინისტი ქალების ისტორია
- რას ნიშნავს გენდერული სამართლიანობა?
- ფესტივალი "გენდერი იწყება ჩემგან"

გადაცემა „უფლება და თავისუფლება“

- ქალთა მიმართ ძალადობა და ძალადობა ოჯახში
- ქალთა შრომითი უფლებები
- გენდერული თანასწორობის მიმართ ახალგაზრდების დამოკიდებულება
- გენდერული სტერეოტიპები
- კამპანია „კაცები ზრუნავენ“ გენდერული თანასწორობისთვის


ტელეგადაცემებისათვის დათმობილი დრო (საათი)
7
6
5
4
3
2
1
0
მოამზე
ინტერview
რეალური სივრცე
ტელეგზლოვი
ფერმა
ეკონომეტრი
ინვესტმენტების დრო...


რადიო გადაცემებისათვის დათმობილი დრო (საათი)
4.5
4
3.5
3
2.5
2
1.5
1
0.5
0
ღია სტუდია
თქვენი უფლებები
რა სურთ ქალებს
მიგრაციის მარშრუტები